კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო პროგრამა

ეკატერინე ბაღდავაძე

ნატოს გაფართოების პოლიტიკა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტი

თბილისი 2021

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ნატოს ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ გავრცელებული განცხადებები და მის მიერ გადაგმული არაერთი ქმედითი ნაბიჯი. ნატოს ინტერესებზე მიუთითებს 2016 წელს ვარშავის სამიტზე, 2017 წლის ბუქარესტის საპარლამენტო ასამბლეაზე გამოჩენილი ყურადღება, აგრეთვე ნატოს მიერ განხორციელებული არაერთი სასწავლო წვრთნა შავი ზღვის აუზში, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის უსაფრთხოებას, ალიანსი ამ კუთხით დღემდე აგრძელებს მრავალი პროექტის განხორციელებას.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის რეგიონი მიეკუთვნება გლობალური აქტორების ინტერესთა სფეროს, რომელთა შეხედულებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. დღეს ნატოს ერთ-ერთი ძლიერი წევრი სახელმწიფო, თურქეთი , რომელიც მდებარეობს შავი ზღვის რეგიონში , აქტიურად თანამშრომლობს რუსეთთან, რაც გარკვეულად პრობლემებს უქმნის ნატოს ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში, ეს ინტერესებია: უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სტაბილურობა და სხვა.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სხვადასხვა აქტორების, ძირითადად კი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გეოპოლიტიკური მიზნები და საქართველოს ინტერესები. ამასთან ერთად, ის ხელშემშლელი ფაქტორები, რომელიც კავშირშია ნატოს გაფართოების პოლიტიკასთან, შესაბამისად საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან.

Annotation

NATO enlargement policy and security in the Black Sea region

The security of the Black Sea region in the modern world is an area of NATO interest, as evidenced by the statements made by the North Atlantic Alliance. In the interests of NATO indicates prominent attention at the 2016 Warsaw Summit and the 2017 Bucharest Parliamentary Assembly, which NATO continues to this day at various summits.

After the annexation of Crimea by Russia, we can say that the Black Sea region belongs to the Interests sphere of global actors, their views are markedly different from one another. Today, one of the strongest NATO's member states, Turkey located in the Black Sea region, is actively cooperating with Russia, which poses certain problems to NATO interests in the region, these interests are: Security, Stability and more.

Thesis deals with the various actors, mainly the geopolitical goals of the North Atlantic Alliance and the interest of Georgia. Also, the impediments that are related to NATO's enlargement policy, in line with Georgia's integration into the Euro-Atlantic space.

Ekaterine Bagdavadze

სარჩევი

I თავი. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ისტორიული ასპექტები..... 10

1.1 შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური ფუნქცია 11

1.2 ნატოს გაფართოების პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების დისკურში..... 16

II თავი. ნატო - რეგიონის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტი 23

2.1 ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში..... 26

2.2 შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება რეგიონის მნიშვნელოვანი ასპექტების (რუსეთის და თურქეთის) კონტექსტში 36

2.3 შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება საქართველოს და უკრაინის კონტექსტში..... 45

2.4 ნატოს მიერ განხორციელებული პროექტები შავი ზღვის რეგიონში 48

III თავი. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) მიზნები შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების პროცესში 53

3.1 ნატო-საქართველოს ურთიერთობები და სამომავლო გეგმები..... 53

3.2 ნატოს სამომავლო გეგმები და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროს განვითარების პერსპექტივები..... 57

დასკვნა..... 60

გამოყენებული ლიტერატურა 62

შესავალი

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამ და ახალმა გეოპოლიტიკამ, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა შავი ზღვის რეგიონით დაინტერესება. დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობების დათბობამ გამოიწვია პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების შეცვლა რეგიონში, რომლის მაგალითია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

შავი ზღვის რეგიონი უნიკალური მდებარეობით ნატოს ინტერესის ობიექტია და ეს არც არის გასაკვირი, რადგან შავი ზღვის რეგიონი ორი სამყაროს დამაკავშირებელი დერეფანია, აგრეთვე უდიდესი როლი შეუძლია შეასრულოს ტერორიზმთან ბრძოლის საკითში. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა რეგიონის შიგნით არსებული აქტორების დაპირისპირებაც და მათი ინტერესები, ამ კუთხით გამოირჩევა რუსეთის ფედერაცია, რომელსაც რეგიონში სურს საკუთარი ინტერესების გატარება, რაც კონფლიქტშია ნატოს ინტერესებთან. რეგიონის ძლიერ სახელმწიფოებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს თურქეთიც, შესაბამისად არც არის გასაკვირი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები, იმის მიუხედავად, რომ თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა, ძალიან საინტერესოა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის რეგიონის სატრანსპორტო ფუნქციას. როგორც უკვე ავღნიშნე რეგიონი გეოპლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული მდებარეობით გამოირჩევა, სწორედ ამიტომ შავი ზღვის რეგიონი საერთაშორისო ასპარეზზე აქტორთა დაპირისპირების მნიშვნელოვანი საგანი იყო, არის და იქნება.

თემის აქტუალობა: ნაშრომში განხილულია ნატოს გაფართოების პოლიტიკა და მისი ინტერესები შავი ზღვის რეგიონთან მიმართებაში. თემა აქტუალურია, რადგან შავი ზღვის რეგიონი უნიკალური მდებარეობით გამოირჩევა და იგი გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. რეგიონში განვითარებული მოვლენები ყოველთვის იყო და არის საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი მთავარი განხილვის და მსჯელობის საკითხი. აგრეთვე, რეგიონი მნიშვნელოვანია ტერორიზმთან ბრძოლის საკითში, ტერორიზმი კი XXI საუკუნეში ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს.

თემის მიზნები და ამოცანები:

1. ამჟამინდელი გეოპოლიტიკური რეალობა შავი ზღვის რეგიონში
2. ნატოს როლის წარმოჩენა რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში
3. შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესების წარმოჩენა
4. შავი ზღვის რეგიონში მომხდარი პროცესების ასახვა საერთაშორისო ასპარეზზე.
5. საქართველოს გამოწვევები და ინტერესები.

საკვლევი კითხვები:

1. რა არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავარი მიზანი და ამოცანა შავი ზღვის რეგიონთან მიმართებაში?
2. რა არის შავი ზღვის რეგიონის ძლიერი სახელმწიფოების (თურქეთი, რუსეთი) ინტერესები?
3. რა არის ნატოს მიერ არჩეული სტრატეგია შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და რამდენად ეფექტურია იგი?

ჰიპოთეზა: თანამედროვე მსოფლიოში შავი ზღვის რეგიონით დაინტერესება უფრო მეტად გაიზარდა, რადგან რეგიონში განვითარებული მოვლენები გავლენას

ახდენს საერთაშორისო ასპარეზზე. ნატო შავი ზღვის რეგიონს განიხილავს, როგორც საკუთარი უსაფრთხოების შემადგენელ ერთ-ერთ ძირითად წყაროს. აქედან გამომდინარე, ის დგამს ქმედით ნაბიჯებს საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ნატოს მიერ განხორციელებული ნაბიჯები, რაშიც იგულისხმება მისი სამხედრო ძალების არსებობა ამ რეგიონში, კონფლიქტში მოდის რეგიონის ძლიერ სახელმწიფოსთან - რუსეთთან. ეს ინტერესთა კონფლიქტი დაპირისპირების საგანი მუდმივად იქნება ნატო-რუსეთის ურთიერთობებში, ამ შემთხვევაში აუცილებელია საერთო აზრამდე მისვლა და კომპრომისის გამონახვა.

კვლევის ობიექტი: ნატო და შავი ზღვის რეგიონი.

კვლევის საგანი: შავი ზღვის აკვატორია.

კვლევის მეთოდები:

1. ისტორიულ-აღწერილობითი (კვლევის ეს მეთოდი ითვალისწინებს საკვლევი ობიექტის ისტორიულ აღწერას.)
2. მონაცემთა ანალიზი (მოპოვებული მონაცამების დამუშვება და ანალიზი)
3. პროცესების შედარებითი ანალიზი (განვითარებული პროცესების შედარება და შემდეგ მათი ანალიზი)
4. პოლიტიკური კვლევის ანალიზი (პოლიტიკური ანალიზი)

კვლევის მეთოდოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ სხვადასხვა თეორიებს:

1. ძალთა ბალანსის თეორია - აღნიშნული თეორია არის ერთ-ერთი უმთავრესი და უძველესი თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში. ამ კონცეფციის მიხედვით იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო სისტემა გარკვეულწილად

ანარქიულია, სახელმწიფოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა. საკუთარი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოებისათვის სახელმწიფოები ხშირად ერთად მოქმედებენ, რადგან დაუპირისპირდნენ იმ სახელმწიფოს, საიდანაც საფრთხე მოდის.

2. გეოსტრატეგიული ბალანსი - მოიცავს გეოპოლიტიკურ რეგიონში არსებულ მდგომარეობას. იგი შეისწავლის საერთაშორისო ასპარეზზე მყოფი აქტორებს შორის ომის აცილების საფუძვლებს.
3. ურთიერთდამოკიდებულების თეორია - ამ კონცეფციის მიხედვით საერთაშორისო სისტემაში შემავალი სუბიექტები იმდენად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ქმნიან ერთ მთლიანობას. სწორედ, ამ მთლიანობის შენარჩუნებაა თითოეული მათგანის ინტერესი.
4. თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია - სახელმწიფოები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური კავშირებით, რომლებსაც საერთო ფასეულობები გააჩნიათ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა : ნაშრომი დააინტერესებს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებით დაინტერესებულ ყველა ანალიტიკოსს და მკვლევარს. აგრეთვე, მისი გამოყენება შეუძლიათ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები, რომლებიც ეხება შავი ზღვის რეგიონსა და ნატოს ინტერესებს ამ რეგიონში. აგრეთვე სტატიები და სხვა ნაშრომები, დიპლომატების, პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები , რომლეიც აღნიშნულ საკითხს და რეგიონს ეხება.

- შავი ზღვის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები, ვახტანგ მაისაია. თბ. 2003 წელი - აღნიშნული წიგნი ეხება შავი ზღვის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ანალიზს.
- ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, ნიკა ჩიტაძე. თბ. 2008 წელი - ნაშრომში განხილულია ის მიზნები და ამოცანები, რაც ნატოს გააჩნია შავი ზღვის რეგიონის მიმართ.
- Maritime Security in the Back Sea: Can Regional Solution Work? , Deborah Sanders - წიგნში საუბარია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთოებაზე.
- Black Sea Security Analitical Magazine, Centre for global studies strategy XXI, Kyiv 24 April 2017 year - წიგნში განხილულია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და ამ რეგიონში არსებული აქტორების ინტერესები.
- The Black Sea Region , Oleksandr Pavliuk, Ivanna Klympush-Tsintsadze, 2004year- წიგნში განხილულია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა და მათი სწრაფვა უსაფრთხოებისაკენ.

I თავი. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ისტორიული ასპექტები

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების როლის გაანალიზება ნატოში და ზოგადად ევრო-ატლანტიკურ სივრცეში საკმაოდ დიდი ხანია მიმდინარეობს, შესაბამისად მიზნების მისაღწევად არაერთი ღონისძიება ტარდება, რომელიც შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის შესანარჩუნებლად არის მიმართული.

შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს - რუსეთის ინტერესები თანხვედრაში არ მოდის, უფრო მეტიც სრულიად ეწინააღმდეგება ალიანსის ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში. ნატოს რუსეთის ფედერაციის სახით უდიდესი წინააღმდეგობა ხვდება რეგიონში მშვიდობის და უსაფრთხოების განსამტკიცებლად.

ალიანსის ძირითად ინტერესს შავი ზღვის რეგიონში წარმოადგენს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დერეფანი, რომელიც მრავალ ასპექტთან არის დაკავშირებული, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ შავი ზღვის რეგიონი დამაკავშირებელი რგოლია კასპიის, ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვის აუზებს შორის, შესაბამისად იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დერეფანს ახლო აღმოსავლეთში გასასვლელად.

შავი ზღვის რეგიონი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და ზევით აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე ყოველთვის იყო, არის და იქნება უდიდესი ინტერესის მქონე რეგიონი, შესაბამისად ნატო ატარებს მრავალს პროექტს და ღონისძებას შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხის გადასაჭრელად.

1.1 შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური ფუნქცია

შავი ზღვის რეგიონს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ფაქტი დაადასტურა მრავალმა ისტორიულმა მოვლენამ თუ გეოპოლიტიკურმა თეორიამ.

აღსანიშნავია, ჰართლენდის (მაკინდერი[1]) თეორია , სადაც ყურადღება გამახვილებულია შავი ზღვის რეგიონზე, იგი გარკვეული ხიდია შიდა ნახევარსამყაროსა და ჰართლენდს შორის, რომლის ფლობის შედეგადაც მსოფლიოს ორივე ნაწილის ფლობაა შესაძლებელი.

შავი ზღვა ყველაზე ღრმად იჭრება ევრაზიის კონტინენტში, მას ესაზღვრება - საქართველო, თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, ბულგარეთი და რუმინეთი, მისი ნაპირები სუსტად არის შეჭრილ-შემოჭრილი და ერთადერთი დიდი ნახევარკუნძულია - ყირიმის ნახევარკუნძული.

შავ ზღვას უდიდესი სატრანსპორტო მნიშვნელოვა გააჩნდა როგორც წარსულში, ასევე გააჩნია ახლაც აწმყოში და ამასთან ერთად, ინარჩუნებს უდიდეს სტრატეგიულ და სამხედრო მნიშვნელობას. შავი ზღვის ყველა მოსაზღვრე ქვეყანას ყავს საკუთარი ფლოტი.

რუსეთის შავიზღვისპირა ფლოტის სამხედრო ბაზები ძირითადად განლაგებულია სევასტოპოლსა და ნოვოროსიისკში.

სინოპსა და სამსუნგში - განთავსებულია თურქეთის სამხედრო და საზღვაო ძალების შავიზღვისპირა დაჯგუფების გემები.

ბულგარეთის სამხედრო-საზღვაო ძალები კი ვარნაში არიან განთავსებულნი.

კონსტანცაში და მანგალიაში კი რუმინეთის სამხედო-საზღვაო ძალები.

---

[1] ჰელფორდ მაკინდერი (1861-1947წწ.) - ინგლისელი ლორდი. ოქსფორდის უნივერსიტეტის გეოგრაფიის პროფესორი და ლონდონის ეკონომიკის სკოლის დირექტორი. 1920-1922 წწ. - ინგლისის პარლამენტის წევრი, ხოლო 1920-1945 წწ. - დიდი ბრიტანეთის იმპერიული სანაოსნო კომიტეტის თავმჯდომარე. მისი ავტორობით შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, მათ შორის: „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“ (1904 წ.) , „დემოკრატიული იდეალები და რეალობები“ (1919წ.)

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები განთავნებულნი არიან ფოთსა და ბათუმში.

აღნიშნული რეგიონის უნიკალური მდებარეობა ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში დადასტურდა, აღსანიშნავია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ყირიმის ომის შემდეგი პერიოდიც, რამაც ხაზი გაუსვა ამ რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. მას შემდეგ, რაც რუსეთს ჩამოერთვა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის შესაძლებლობა, დაკარგა შავ ზღვაზე გავლენა, რაც იმას მიანიშნებდა, რომ შავი ზღვა გემებისთვის ღია ზღვად ცხადდებოდა რუსეთმა დაკარგა საერთაშორისო ავტორიტეტი. ეს ფაქტი ცხადად ასახავს შავი ზღვის და ზოგადად ამ რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას.

შავი ზღვის რეგიონი ევროპის სამხრეთ ნაწილია, სადაც შედის 15 სახელმწიფო, ესენია:

1. საქართველო,
2. უკრაინა,
3. აზერბაიჯანი,
4. სომხეთი,
5. რუსეთი,
6. საბერძნეთი,
7. თურქეთი,
8. რუმინეთი,
9. მოლოდვა,
10. ჩრდილოეთ მაკედონია,
11. ალბანეთი,
12. სერბეთი,
13. ბულგარეთი,
14. ბოსნია-ჰერცოგოვინა,
15. მონტენეგრო.

შავ ზღვაში ჩაედინება არაერთი მდინარე, ჩრდილოეთიდან - დნეპრი, დნესტრი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დინი და ყუბანი, დასავლეთიდან - პრუტი და დუნაი, ხოლო აღმოსავლეთიდან - ჭოროხი, რიონი, ენგური. ეს რეგიონი მოიცავს მცირე აზიის, ბალკანეთის და ყირიმის ნახევარკუნძულებს.

აღსანიშნავია, ისიც რომ შავი ზღვის რეგიონში პოლიტიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ სახელმწიფოებს, რომლებსაც გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე შავ ზღვაზე გასასვლელი აქვთ, ეს სახელმწიფოები არიან: საქართველო, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი და რუსეთი.

შავი ზღვის სატრანსპორტო ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან შავ ზღვას. ზღვის გადაზიდვების მოცულობას ტანკერების რეისები შეადგენს, რომლებიც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტს ანხორციელებენ რუსეთის და საქართველოს პორტებიდან. ნოვოროსიისკის (რუსეთის) ნავთობტერმინალებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სუპერტანკერები. შავი ზღვის სანაპირო ზოლში- ქალაქ ბათუმში ბათუმის ნავთობტერმინალია განლაგებული, რომელიც ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვას ახორციელებს. ბათუმის ნავთობტერმინალი 1883 წელს დაარსდა ნობელების საგვარეულო კომპანია „BRANOOBEL"_ის მიერ, აღნიშნულმა კომპანიამ დაიწყო საქართველოს გავლით ბათუმამდე ნავთობის ექსპორტი. დღეს უკვე ბათუმი ნედლი ნავთობის და წარმოებული ნავთობპროდუქტების ექსპორტის მნიშვნელოვანი ობიექტია საქართველოში.

აგრეთვე, შავ ზღვაზე გადის საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორი - TRACECA[2] (Transport Corridor Europe – Caucasus – Asia) . იგი შეიქმნა 1993 წელს ბრიუსელის დეკლარაციის საფუძველზე და წარმოადგენს ევროპისა და აზიის

[2] TRACECA – The Transport Corridor Europe Caucasus Asia , https://aric.adb.org/initiative/transport-corridor-europe-caucasus-asia

ქვეყნებს შორის მგზავრების გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის ერთიან სისტემას, რომელიც აღნიშნული რეგიონების სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას უზრუნველყოფს. თავდაპირველად ამ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი, თუმცა მალევე შეუერთდნენ მოლდოვა, უკრაინა და მონღოლეთი. თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი აღნიშნულ პროექტს 2002 წელს, ხოლო ირანი 2009 წელს შეუერთდნენ.

XX საუკუნის დასასრულის ძალიან მნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენებმა , პირველ რიგში კი სსრკ_ის დაშლამ და სხვა გარემოებებმა ისტორიული აბრეშუმის გზის აღორძინების აუცილებლობა დააყენა, რომელმაც თანამედროვე მსოფლიოში ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის სახე მიიღო. 1990 წელს ვლადივოსტოკში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე ისტორიული აბრეშუმის გზის თანამედროვე სატრანსპორტო დერეფნად გადაქცევის იდეა გამოითქვა. მისი რეალობაში განხორციელება კი მხოლოდ სსრკ_ის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

TRACECA_ს მნიშვნელობა ცილდება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საზღვრებს. ტრასეკა, დღევანდელ სამყაროში არა მხოლოდ ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელ მრავალფუნქციურ დერეფანს წარმოადგენს, არამედ ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების მამოძრაველებ ძალად ჩამოყალიბდა. 90_იან წლებში შავი ზღვის რეგიონის მიმართ ყურადღება კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და ჩამოყალიბდა სუუამი, რომლის მთავარ ნაწილს შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს. იგი შეიქმნა როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ალიანსი, რომლის მიზანიც არის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის განმტკიცება. სუუამ_ის მიზნებს ასევე წარმოადგენს ამ სახელმწიფოების მიერ რუსეთის ფედერაციის გვერდის

ავლით ალტერნატიური ენერგომარშუტების მოძიება და ახლო კავშირის დამყარება ნატოსთან. სუუამი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით მიიღწვის, რომ განვითარდეს რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა. ამასთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ იგი წარმოადგენს ფორუმს უსაფრთხოების პრობლემებზე, კონფლიქტების გადაწყვეტის ხელშეწყობაზე და საფრთხეების გადაჭრაზე სასაუბროდ.

1996 წელს საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის და მოლდოვას დელეგაციებს შორის დაიწყო თანამშრომლობა ავსტრიის დედაქალქ ვენაში, სადაც ოთხმა სახელმწიფომ ერთობლივი განცხადებები გააკეთა და წამოაყენა საერთო ინიციატივები. სუუამში თავმჯდომარეობა წევრი სახელმწიფოების მიერ ალფაბეტის მიხედვით ხორციელდება, ამ შეხვედრებზე მიიღება გადაწყვეტილება:

- პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე, რასაკვირველია სუამმის ფარგლებში.
- სპეციალიზებული ორგანოების შექმნაზე.
- აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ეხებათ სუუამის წევრ სახელმწიფოებს - ამგვარი საკითხების განხილვა და საერთო აზრის ჩამოყალიბება.

სუუამის ერთობლივი სამხედრო ღონისძიებები, წევრი სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების განსხვავებული შეხედულების გამო შეზღუდულია. სუუამი დღესაც რჩება სახელმწიფოების გაერთიანებად, სადაც არსებობს მრავალ საკითხზე საერთო ინტერესები, მაგრამ უსაფრთხოების ინტერესებით წევრი სახელმწიფოები ძალიან განსხვავდებიან. მაგალითად, საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის მილსადენის დაცვა პრიორიტეტული საკითხია, მაშინ როდესაც მოლდოვა, უკრაინა და უზბეკეთი საერთოდ არ მონაწილეობენ მილსადენის მარშუტებში. აღნიშნული ორგანიზაცია არის

ერთადერთი, რომელსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მკვეთრად გამოხატული პროდასავლური და ევროატლანტიკური ორიენტაცია გააჩნია.[3]

1.2 ნატოს გაფართოების პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების დისკურში

შავი ზღვის რეგიონი ორი სამყაროს დამაკავშირებელი ხიდია, იგი აღმოსავლეთში გასასვლელ ხელსაყრელ გარემოს ქმნის, ამიტომაც არ არის გასაკვირი ამ რეგიონით ასეთი მაღალი დაინტერესება და მუდმივი ჭიდილი სახელმწიფოებს შორის დომინანტობის მოსაპოვებლად.

ნატო შექმნის დღიდან „ღია კარის" პოლიტიკას ატარებს, რაც გულისხმობს ალიანსის გაფართოებას, მასში გაერთიანება შეუძლიათ სუვერენულ სახელმწიფოებს. აუცილებლად უნდა ავღნიშნულოთ ალიანსის დამფუძნებელი სახელმწიფოები, ესენია:

1. კანადა
2. ბელგია
3. საფრანგეთი
4. დანია
5. იტალია
6. ისლანდია
7. ნიდერლანდები
8. ლუქსემბურგი
9. პორტუგალია

[3] ვ.მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოპოლიტიკური ბალანსის პოლიტიკური ასპექტები

10. ნორვეგია
11. გაერთიანებული სამეფო
12. ამერიკის შეერთებული შტატები

თავდაპირველად აღსანიშნავია მიზეზები, თუ რატომ დადგა საჭიროება მსოფლიოში შექმნილიყო სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება „ნატო“ - მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას, როდესაც დამარცხდა გერმანული ფაშიზმი, მსოფლიო კიდევ ერთი საფრთხის წინაშე დადგა, ეს იყო კომუნიზმი. როგორ ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირმა საკუთარი პოზიციები კიდევ უფრო მეტად გაიმყარა მსოფლიოში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც ახშობდნენ დემოკრატიულ მმართველობას და თანდათან რუკაზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები „წითლდებოდნენ“. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა
1947 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა კომუნისტური რეჟიმი დაამყარა პოლონეთში. საბჭოთა კავშრის დაპყრობითი პოლიტიკა გაგრძელდა 1948 წელსაც, როდესაც ჩეხოსლოვაკიაში საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ მოხდა სამხედრო გადატრიალება, რის შედეგადაც სახელმწიფოში დამყარდა საბჭოთა მმართველობა. იმავე წელს საბჭოთა კავშირის მიერ მოხდა ბერლინის ბლოკადაც. საფრთხეებისაგან თავისდასაღწევად, რომელიც მომდინარეობდა საბჭოთა კავშირისგან აუცილებლად უნდა გატარებული ზომები ევროპაში, თავდაპირველად 1946 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი უინსტონ ჩერჩილი გამოვიდა ინიციატივით შექმნილიყო ამერიკულ ბრიტანული სამხედრო კავშირი საბჭოთა კავშრის წინააღმდეგ.

მსოფლიოში დემოკრატიის დასაცავად საჭირო გახდა მნიშვნელოვანი ზომების მიღება. ამერიკაში მიღებულ იქნა ჯონ კენანის[4] „შეკავების დოქტრინა“ , რომლის მთავარი მიზანი იყო დემოკრატიული მეჟიმის მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში. იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირის შესაკავებლად შემუშავდა „მარშალის გეგმა“[5] და „ტრუმენის დოქტრინა“[6] , მაინც ვერ მოხდა კომუნისტური პარტიის შეჩერება, ამერიკის დახმარება არ იყო საკმარისი ევროპის ქვეყნებისათვის, რომ შეეჩერებინათ საბჭოთა კავშირისგან მოსალოდნელი საფრთხე. ამას თან ემატებოდა ის ფაქტიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპა ეკონომიკურად ძალიან დასუსტებული იყო.

საჭირო იყო ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპის სახელმწიფოებს შორის შექმნილიყო კოლექტიური თავდაცის ორგანიზაცია. 1948 წლის ზაფხულში ამერიკამ, კანადამ და ბრიუსელის ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკებები, რადგან მომხდარიყო რეგიონის უსაფრთხოება და თავდაცვა, ხოლო უკვე 1949 წელს მოლაპარაკებაში მყოფმა სახელმწიფოებმა ევროპის სხვა სახელმწიფოებს შეთავაზეს გაერთიანებულიყვნენ ამ კოლექტივში, ეს სახელმწიფოები იყვნენ:

დანია

იტალია

ისლანდია

პორტუგალია

ნორვეგია

---

[4] ჯორჯ ფროსტ კენანი (1904-2005წწ.) - ამერიკელი დიპლომატი და ისტორიკოსი. იგი იყო ცნობილი ლექტორი და წიგნების ავტორი, რომელიც იკვლევდა და ბევრს საუბრობდა აშშ - სსრკ_ს ურთიერთობებზე. კენანი შედიოდა საგარეო პოლიტიკის ექსპერტთა ჯგუფში, რომლის ზედმეტსახელი იყო „ბრძენკაცი“.

[5] მარშალის გეგმა (ოფიციალურად ევროპის რეკონსტრუქციის პროგრამა) - სახელწოდება აშშ-ისა სახელმწიფო მდივნის ჯორჯ მარშალის პატივსაცემად. გეგმა მოიცავდა აშშ-ის მთავარ პროგრამას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის აღმშენებლობითვის.

[6] ტრუმენის დოქტრინა - ცივი ომის დროს შემუშავებული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის და კომუნიზმის ექსპანსიონიზმის შეჩერებას. Truman Library website with papers related to the Truman Doctrine.

და უკვე 1949 წლის 4 აპრილს 12_მა სახელმწიფომ ქალაქ ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ე.წ. ნატოს შექმნას, ნატოს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1949 წლის 24 აგვისტოს.

ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლი ცნობილია როგორც „ ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“, რაც გულისხმობს რომ თავდასხმა ნატოს ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოზე ნიშნავს თავდასხმას ყველა წევს სახელმწიფოზე და ითვალისწინებს კოლექტიური თავდაცვის ზომების ამოქმედებას. თუმცა მეხუთე მუხლში ასევე ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ კოლექტიური თავდაცვის ზომების, მათ შორის „სამხედრო ძალების“ გამოყენება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს.[7]

ალიანსში შემავლმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს 1952 წელს მათ შეერთებოდათ საბერძნეთი და თურქეთი, ხოლო 1955 წელს გერმანიის ფედერაციული კავშირი. უკვე 1982 წელს ნატოს ესპანეთი შეუერთდა.

გაფართოების შემდეგი ტალღა 1999 წელს დაიწყო, როდესაც ალიანსს შეუერთდნენ ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი

2004 წელს ალიანსის დიდი გაფართოება მოხდა, მას კიდევ შვიდი სახელმწიფო შეუერთდა, ეს სახელმწიფოებია:

- ბულგარეთი
- ლიეტუვა
- ლატვია
- რუმინეთი
- სლოვაკეთი
- სლოვენია
- ესტონეთი

[7] https://www.nato.int/

2009 წელს ალიანსის წევრი სახელმწიფოები ხორვატია და ალბანეთი გახდნენ, ხოლო 2017 წელს მათ მონტენეგროც შეუერთდათ.

ნატოს გაფართოების პოლიტიკა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლს ემყარება, რომლის მიხედვითაც: „მხარეებს შეუძლიათ ერთსულოვანი თანხმობით ამ ხელშეკრულებასთან მისაერთებლად მოიწვიონ ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფო, რომელიც ხელს უწყობს ამ ხელშეკრულების პრინციპების განხორციელებას და წვლილი შეაქვს ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში.“

ამგვარად დამყარდა ჩრდილო ამერიკასა და ევროპას შორის ძალიან მნიშვნელოვანი კავშირი, რომელიც უნდა გამხდარიყო ევროპის სახელმწიფოებისათვის დამცავი მექანიზმი საბჭოთა კავშრისა და ნებისმიერი სხვა მოსალოდნელი საფრთხისგან და აგრესიისგან.

ნაშრომში მრავალჯერ არის აღნიშნული, რომ ნატო სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტია. ცდილობს მშვიდობის დამყარებას, სწორედ ეს იყო ცივი ომის პერიოდში ნატოს პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ასპექტი, რადგან ალიანს შეეჩერებინა საბჭოთა კავშირის გაფართოება და შეეწყვიტა რუკაზე ქვეყნების „გაწითლება“ , შეეჩერებინა საბჭოთა კავშირის სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ.

ნატოს გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად ორგანოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო წარმოადგენს. გადაწყვეტილებების მისაღებად ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრები სამ დონეზე იმართება: ელჩების დონეზე, მინისტრების დონეზე და სახელმწიფოს მეთაურების დონეზე. ამგვარ სხდომებს ნატოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. გენერალურ მდივანს 3 ძირითადი ფუნქცია აკისრია:

1. ის არის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, თავდაცვის დაგეგმის კომიტეტისა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის, ნატო-რუსეთის საბჭოს, ნატო-უკრაინის საბჭოს, ნატო-საქართველოს საბჭოსა და ხმელთაშუა ზღვის დიალოგის თავმჯდომარე.

2. ის მოქმედებს ორგანიზაციის სახელით და გამოხატავს ორგანიზაციის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.
3. ის არის ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი პირი და უმაღლესი წარმომადგენელი .

ნატოს ისტორიის მანძილზე სულ 12 გენერალური მდივანი ჰყავდა, ამჟამად კი ამ პოსტს ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი იკავებს.

ნატოს აქვს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურა, რომელთა საქმიანობაც მოიცავს პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებს. აღნიშნული სტრუქტურები ეხმარებიან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს - ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებაში.

აგრეთვე ნატოს გაფართოების პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ 1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე შემუშავებული - გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan – MAP) , რაც ალიანსში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებს შესაძლო წევრობისათვის მომზადებაში დაეხმარებოდა.

კავკასიის რეგიონით ნატოს მხრიდან პირდაპირი დაინტერესება მოხდა 1994 წელს, როდესაც ამოქმედდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ნატოს, ევროპაში ნატოს არაწევრ ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ნდობის დამყარებას. „პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის“ მიზანია, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით სტაბილურობის და მყარი თანამშრომლობის ჩამოყალიბება და განმტკიცება, საზიანო ქმედებების თავიდან აცილება. აღნიშნული პროგრამის ფორმალურ მხარეს წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც თითოეულ სახელმწიფოს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს, წევრი ან პარტნიორი სახელმწიფო ღებულობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ადამიანის უფლებების დეკლარაციის, დემოკრატიული საზოგადოების, საერთაშორისო განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების დაცვის, არსებული

საზღვრების პატივისცემის, სამხედრო ძალის გამოყენებისგან თავის შეკავების და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის ვალდებულებებს.

აგრეთვე მნიშვნელოვანია გამოვყოთ 1999 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპსი) ფარგლებში „კავკასიის სამუშაო ჯგუფის“ ჩამოყალიბება, ეს ჯგუფი განსაზღვრავს რეგიონში არსებულ პრობლემებს და ცდილობს იპოვოს მათი გადაჭრის გზები.

ნატოს მიერ განხორციელებული სამიტებიდან ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებლად აღსანიშნავია ნატოს პრაღის სამიტი, სადაც გაირკვა, რომ ალიანს აქვს იმის პოტენციალი გაუმკლავდეს ახალ საფრთხეებს, აგრეთვე მან გააძლიეროს პარტნიორობა უკრაინასთან და სხვა სახელმწიფოებთან.

2002 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ოფიციალური თხოვნით მიმართა ნატოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე.[8] იმჟამინდელმა საქართველოს პრეზიდენტამა- ედუარდ შევარდნაძემ პრაღაში ნატოს სამიტზე გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოს სურს ალიანსში გაწევრიანება, თუმცა არ არის გასაკვირი, რომ ეს საქართველოსთვის შორეულ მომავალს წარმოადგენდა, საქართველოს კონფლიქტური ტერიტორიები - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა რთულ მდგომარეობაში იყო , ნატოც თავის მხრივ მოუწოდებდა რუსეთს შეეწყვიტა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და თხოვდა, რომ მომხდარიყო საქართველოს ტერიტორიიდან ბაზების გაყვანა. (ეს საკითხი დღესაც მოუგვარებელია)

რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, მისთვის მიუღებელია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა ნატოს წევრ ქვეყნებთან, აგრეთვე გაზისა და ნავთობის ალტერნატიული არხების განვითარება, სწორედ ამიტომ რუსეთის

[8] https://mfa.gov.ge/.ევროპული-და-ევროატლანტიკური-ინტეგრაცია/საქართველო-NATO-ს-ერთიერთობები.aspx

ფედერაცია ხშირად ქმნის ან ხელს უწყობს რეგიონში არსებულ კონფლიქტებს და აკონტროლებს მათ.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონალური კონფლიქტები და ტერორიზმი არ არის ერთი კონკრეტული სახელმწიფოს პრობლემა, ეს წარმოადგენს მსოფლიოს პრობლემას და ამ პრობლემებს უნდა ვებრძოლოთ ერთობლივი მოქმედებებით. თანამედროვე მსოფლიოში პრობლემების გადასაწყვეტად პარტნიორული ურთიერთობები ყველაზე მნიშვნელობანი და გადამწყვეტია, სწორედ ამიტომ შავი ზღვის რეგიონის თანამშრომლობა ნატოსთან და ერთმანეთთან აუცილებელია, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ჩამოთვლილი პრობლემების წინაშე შავი ზღვის რეგიონიც დგას.

II თავი. ნატო - რეგიონის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტი

ნატოს მხრიდან შავი ზღვის რეგიონისადმი გამახვილებულმა ყურადღებამ ნათლად გამოაჩინა, რომ აღნიშნული რეგიონი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის ნაწილად განიხილება.

2004 წელს, როდესაც ნატოს წევრი სახელმწიფოები გახდნენ ბულგარეთი და რუმინეთი, ნატოს დღის წესრიგის პრიორიტეტი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება გახდა. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის 6 სანაპირო ქვეყნიდან 3 ნატოს წევრია, ეს სამი სახელმწიფოა:

- ბულგარეთი
- რუმინეთი
- თურქეთი

თუმცა აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ბულგარეთის და რუმინეთის ალიანსში გაწევრიანებიდან, მხოლოდ 10 წლის შემდეგ შეძლო ნატომ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება.

თავის მხრივ, ნატოსთვისაც შავ ზღვას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსეთთან გამკლავების მთავარ ფრონტს წარმოადგენს, ტერორიზმის საფრთხემ და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა (სირიაში) მდგომარეობამ კიდევ უფრო დიდი სტრატეგიული დატვირთვა შესძინა შავი ზღვის რეგიონს, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებს, რომლებსაც პირდაპირი გასასვლელი აქვთ შავ ზღვაზე.

ყირიმის ანექსიის შემდეგ (უკრაინის ტერიტორია ყირიმი ანექსირებულ იქნა, 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ. ანექსიას წინ უძღოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების ინტერვენცია ყირიმის ნახევარკუნძულზე, ყირიმის ანექსია დღემდე გრძელდება) ნატოს პოლიტიკაში, შავი ზღვის რეგიონში არსებულმა პრობლემებმა და ამ რეგიონის უსაფრთხოებამ პრიორიტეტული ადგილი დაიკავა. ამაზე მიუთითებს აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა ჩრდილო-ატლანტიკურ საბჭოში და საპარლამენტო ასამბლეაში, აგრეთვე ის ქმედითი ნაბიჯები, რაც ალიანსმა გადადგა აღნიშნული რეგიონის უსაფრთხოების კუთხით, იმის მიუხედავად რომ მრავალი ხელშემშლელი ფაქტორი არსებობს, რომელთაგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია რუსეთის აქტორი, რუსეთი უკიდურესად ეწინააღმდეგება ნატოს სამხედრო

ძალების ყოფნას შავი ზღვის აუზში, ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს.

XXI საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანს არაერთი სამხედრო ინიციატივა ჰქონდა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთოების გასაძლიერებლად. ნატოს დიდი სურვილი იყო შავი ზღვის აუზში Operation Active Endeavour (OAE)[9] _ის ფარგლებში ემოქმედა, თუმცა თურქეთის და რუსეთის წინააღმდეგობის გამო მან ამ ინიციატივის განხორციელება ვერ შეძლო.

2001 წლიდან ოპერაცია აქტიური ძალისხმევის ფარგლებში, ხმელთაშუა ზღვის წყლებში ნატოს სამხედრო საზღვაო ძალები პატრულირებენ, მასში ერთიანდებიან სამხედრო გემები, წყალქვეშა ნავები, თვითფრინავები. აღნიშნული ოპერაციის მიზანი არის ხმელთაშია ზღვის წყლებში ტერორისტული საქმიანობის გამოვლენა და აღკვეთა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის 65%_ის ტრანსპორტირება ხმელთაშუა ზღვის გავლით ხდება დასავლეთ ევროპაში. რუსეთის აგრესიის შედეგად, 2014 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსიის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ნატოს სამხედრო წარმომადგენლობა შავი ზღვის აუზშიც. ამ საშინელი მოვლენის შემდეგ ალიანსმა დაგეგმილზე გაცილებით მეტი რაოდენობის სამხედრო წვრთნები ჩაატარა, აგრეთვე გაიზარდა აშშ_ის გემების შემოსვლა რეგიონში.

ნატოს მიერ განხორციელებულ სტრატეგიებს სამაგისტრო ნაშრომში ერთი ქვეთავი დაეთმო, შესაბამისად ამ საკითხს კიდევ უფრო მეტად განვავრცობ და ცხადად გამოჩნდება ალიანსის მიერ გადაგმული ნაბიჯები შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში. გასაკვირი არ არის, რომ ნატო მოიხსენიება, როგორც შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტი.

---

[9] OAE ფართომასშტაბიანი საზღვაოსნო უსაფრთხოების ოპერაცია მუდმივი ფლოტით, რომლის მიზანიხმელთაშუა ზღვაში ტერორისტული და კრიმინალური მოქმედებების შეჩერება და გამოვლენაა.
Deborah Sanders 2009. Maritime Security in The Black Sea: Can Regional Solutions work?

2.1 ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში

სამაგისტრო ნაშრომში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ შავი ზღვის რეგიონს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ასპარეზზე, მისი მდებარეობიდან გამომდინარე იგი წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. შავი ზღვის რეგიონზე დომინირება მნიშვნელოვნად გაზრდის ტერორიზმთან ბრძოლის შესაძლებლობასაც.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში, ნატოს სტრატეგიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ხელშემშლელი ფაქტორებიც. ძირითადი ხელშემშლელი აქტორია - რუსეთის ფედერაცია. რუსეთი არ დაუშვებს რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობას ნატოს წევს სახელმწიფოებთან და ყველანაირად შეაფერხებს რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციას ნატოში, აგრეთვე ნავთობის და გაზის ალტერნატიური პროექტების განვითარებას. რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს მსოფლიოს მნიშვნელოვან ძალად ჩამოყალიბება, შავი ზღვის რეგიონი კი არის რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში და მის ძირითად ამოცანას ნატოს გაფართოების პოლიტიკის შეჩერება და შავ ზღვაზე დომინირება წარმოადგენს.

3 შავიზღვისპირა სახელმწიფო: რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა, შესაბამისად ალიანსის პოლიტიკიდან გამომდინარე, ნატო რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას განიხილავს, როგორც რეგიონალურ საფრთხედ, ასევე საფრთხეს ევრო-ატლანტიკური სივრცისათვის და მშვიდობისათვის.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რატომაც ნატო შავი ზღვის აუზში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი რუსეთის აქტორთან ერთად არის თურქეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკაც, რომლის მიზანიც არის ნატოს როლის შემცირება შავი ზღვის რეგიონში მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შავი ზღვის რეგიონის

სახელმწიფოებს ხშირად ინტერესთა თანხვედრის მიუხედავადაც კი, არსებულ პრობლემებთან და გამოწვევებთან განმკლავების განსხვავებული ხედვა აქვთ. თურქეთის ინიციატივით 2001 წელს შეიქმნა სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ჯგუფი - „ბლექსი ფორი“ , რომელიც გარკვეული დროის შემდეგ გაძლიერდა საზღვაო-სამეთვალყურეო ოპერაცია - „შავი ზღვის ჰარმონიის“ მეშვეობით. ამ ჯგუფის შექმნამ გამოიწვია შავი ზღვის დაუცველობა, შავი ზღვა დღეს წარმოადგენს ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის ყველაზე მოწყვლად და ნაკლებად დაცულ სეგმენტს.

აქედან კარგად ჩანს, რომ თურქეთის ინტერესებში არ არის ნატოს დიდი დოზით ყოფნა შავი ზღვის რეგიონში, თუმცა თურქეთი იძულებულია ითანამშრომლოს ნატოსთან სირიის საზღვართან არსებული მდგომარეობის გამო, რადგან მისი უსაფრთხოება დიდწილად არის დამოკიდებული ალიანსის მიერ განლაგებულ „პატრიოტის“ საჰაერო თავდაცვის სისტემებზე. შესაბამისად, თურქეთს უწევს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშრებით ითანამშრომლოს ნატოსთან, ხოლო რუსეთთან და ნატოსთან ურთიერთობებში დაიჭიროს ბალანსი. მნიშვნელოვანია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები მაშინ, როდესაც ნატოს მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგეა რუსეთი, თურქეთი კი ნატოს წევრი სახელმწიფოა, ამიტომაც ნაშრომში შემდეგი თავი მთლიანად დათმობილია თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზე, რაც ჩემი აზრით საკმაოდ საინტერესოა.

ნატოს სტრატეგიაზე საუბრისას აუცილებლად აღსანიშნავია ნატოს ვარშავის სამიტის დეკლარაცია, რომელიც მიზნად ისახავს ვარშავის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ინფორმირებას და კონკრეტულად თუ რა სტრატეგია შეიმუშავა ნატომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში. ვარშავის სამიტზე ნატოს წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევად დასახელდა აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხეები, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და ქმედებებს.

ვარშავის სამიტზე ნატოს წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევად ალიანსის აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მომდინარე სამხედრო, ტერორისტული და კიბერ საფრთხეები დასახელდა, რომელიც მომდინარეობს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორებისგან. ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიას და მის პოლიტიკას შავი ზღვის რეგიონში.

სამიტის დეკლარაციით დადასტურდა, რომ ნატომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავდაცვის მექანიზმების გასაძლიერებლად.

2017 წლის დასაწყისიდან ნატომ ბალტიისპირა ქვეყნებში (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) განათავსდა 4 სამხედრო ქვედანაყოფი, რომლებიც მოქმედებენ ადგილობრივი სამხედრო ქვედანაყოფებთან შეთანხმებით, მაგრამ იგივე ღონისძიებები ამ ეტაპზე შავი ზღვის აუზში ვერ ტარდება და ამას განაპირობებს რუსეთის და თურქეთის ფაქტორი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ალიანსის 2014 წლის უელსის სამიტზე მზადყოფნის სამოქმედო გეგმის (Readiness Action Plan – RAP) დამტკიცება, რომელიც ძირითადად მიღებულ იქნა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და მათი სტრატეგიული გავლენის საპასუხოდ. მზადყოფნის სამოქმედო გეგმა მოიცავს თანმიმდევრულ და კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს უსაფრთოების ახალ რეალობასთნ ადაპტირებას.

RAP _ის ფარგლებში ნატომ არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა, რომელთაგან აღსანიშნავია:

- ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NATO Response Forces – NRF) რაოდენობის გაზრდა და ამასთან ერთად მათი შესაძლებლობების გაძლიერება.
- ძალიან მაღალი მზადყოფნის გაერთიანებული ძალების (Very High Readiness Joint Task Force – VJTF) ჩამოყალიბება, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ გადაადგილება უახლოეს ვადებში საჭიროებიდან გამომდინარე, (2-3 დღეში) მათ შორის ალიანსის საზღვრისპირა რეგიონებში.

- ნატოს აღმოსავლეთით ნატოს ძალების ინტეგრირების (NATO Force Integration Units – NFIUS) რვა ერთეულის ჩამოყალიბება, რომელთა მიზანიც არის აღნიშნულ რეგიონში შესაბამისი წვრთნების, სწავლებების და თუ საჭიროება მოითხოვს დამატებითი ძალების მიღების პროცესის კოორდინირება.
- ნატოს წვრთნების ინტენსიფიცირება.
- ჰიბრიდული საფრთხეების განეიტრალების კუთხით სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ევროკავშირთან ერთად ხორციელდება

2014 წელს უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ზევით არის აღნიშნული მოიცავდა პოლიტიკურ გზავნილებს რუსეთის ფედერაციის მიმართ ალიანსის კოლექტიური თავდაცვის პრინციპებთან დაკავშირებით ნატოს ურყევი პოზიციის შესახებ. ამ გადაწყვეტილებებით, ნატოს აღმოსავლეთით გაჩნდა ალიანსის დამატებითი ელემენტები, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი იყო კოორდინაციის მატარებელი. სამხედრო ქვედანაყოფების ყოფნა კი ხორციელდებოდა როტაციის პრინციპით და არ ითვალისწინებდა მათ მუდმივ განლაგებას შესაბამის რეგიონში სათანადო ტერიტორიების დასაცავად.

ვარშავის სამიტის[10] დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ შავი ზღვის რეგიონში განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, რაშიც იგულისმება ყირიმის ანექსია და რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული პოლიტიკა, ალიანსი მნიშვნელოვნად გააძლიერებს თანამშრომლობას და დიალოგს საქართველოსთან და უკრაინასთან რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე, საფრთხეებზე და უსაფრთხოების გაძლიერებასა და შენარჩუნებაზე.

შავი ზღვის რეგიონში განვითერებული პროცესებიდან გამომდინარე, რაშიც იგულისხმება ყირიმის ანექსია და აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მიერ ჭარბი სამხედრო ინფრასტრუქტურის მობილიზება, შავი ზღვის

[10] NATO Warsaw Summit Communique, 2016.

უსაფრთხოება ნატოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა. ამ კუთით, ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ხაზი გაესვა და ყურადღება დაეთმო მრავალეროვნული ბრიგადის ჩამოყალიბებას, რომლის ინიციატორიც იყო რუმინეთი. აღნიშნული ბრიგადა უზრუნველყოფს მოკავშირეთა ქვედანაყოფების ინტეგრირებულ წვრთნებს, რომლის მიზანიც არის შავი ზღვის რეგიონში გაძლიერდეს თავდაცვის მექანიზმები. ასევე, სამიტზე აღინიშნა აუცილებლობა იმისა, რომ განხილულ იქნეს სხვადასხვა შესაძლებლობა შავი ზღვის რეგიონში ნატოს ყოფნის გასაძლიერებლად.

ვარშავის სამიტის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ 2009 წლის შემდეგ პირველად 2016 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ფინანსური დანახარჯები თავდაცვაზე. ალიანსის 5 წევრი სახელმწიფო უკვე აკმაყოფილებს ნატოს დირექტივის (guideline) მოთხოვნას ქვეყნის მთლიანი შიდა პრიდუქტის მინიმუმ 2 პროცენტის თავდაცვისათვის გამოყენების შესახებ. ალიანსი დადებითად აფასებს მის მოკავშირეთა ძალისხმევას ნატოს საერთაშორისო ოპერაციებში, მისიებში და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის და ჩართულობის კუთხით.

ნაშრომში არაერთელ არის აღნიშნული რომ, შავი ზღვა არის საერთაშორისო მნიშვნელობის სამხედრო-ეკონომიკური არეალი, რომელიც უკანასკნელ წლებში რუსეთის და დასავლეთის დაპირისპირების საგანი გახდა. ნატოს დღის წესრიგში აღნიშნული საკითხი დადგა ყირიმის ანექსიის შემდეგ, თუმცა რუსეთის მიზნები შავი ზღვის რეგიონში ნათელი იყო მაშინაც, როცა მან აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა და ფაქტიურად საქართველოს შავიზღვისპირეთის 200 კილომეტრიანი მონაკვეთი ხელში ჩაიგდო. ოკუპირებული ტერიტორია სულ მალე რუსეთის მძლავრ სამხედრო ბაზად გადაიქცა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ნატოს წინააღმდეგაც იყო და არის მიმართული.

ყირიმის ანექსიამ, მისმა შემდგომმა მილიტარიზაციამ, რაც შავი ზღვის რუსული ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერებაში (აღნიშნული პროცესი დღესაც გრძელდება), ნახევარკუნძულზე საჰაერო-კოსმოსური და სახმელეთო ძალების თვისობრივად

ახალი დაჯგუფების შექმნაში გამოიხატა, ნატოს საპასუხო ზომების მიღებისკენ უბიძგა. რუსეთის აშკარა უპირატესობის წინააღმდეგ ჯერჯერობით ვხედავთ ამერიკის სამხედრო ხომალდების გახშირებულ ვიზიტებს შავი ზღვის პორტებში და ნატოს მიერ განხორციელებულ გახშირებულ სასწავლო წვრთნებს.

ყველა დაინტერესებული მხარე რუსეთის ჩათვლით, ელოდა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე ნატოს ვარშავის სამიტის გადაწყვეტილებას. მოლოდინები ნაწილობრივ გამართლდა, სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების 10_ე პუნქტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ეწევა პროვოკაციულ ქმედებას შავი ზღვის აუზში, იყენებს იქ განლაგებულ სამხედრო პოტენციალს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი ძლიერების და დემონსტრირებისთვის, რაც ნატოსთვის გამოწვევას წარმოადგენს. იმავე განცხადების 23_ე პუნქტში კი ხაზგასმულია, რომ ბოლო წლებში უსაფრთხოების კუთხით შავ ზღვაზე ვითარება საგრძნობლად გაუარესდა. ნატო კი მხარს უჭერს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების ძალისხმევას, რომ რეგიონში უსაფრთხოება და სტაბილურობა იქნეს დამკვიდრებული.

როგორც ვხედავთ, ნატოს ვარშავის სამიტის დოკუმენტებში საუბარი არ არის კონკრეტულ ნაბიჯებზე, მაგრამ ისინი შეიცავენ მკაფიო გზავნილებს კრემლისთვის, რომ შავ ზღვაზე არ იქნება დაშვებული რუსეთის სტრატეგიული უპირატესობა. ნათელია, რომ ნატო უფრო მეტად გააქტიურდება შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით და ამ პროცესში თავისი ადგილი ექნებათ ალიანსის არაწევრ სახელმწიფოებს - საქართველოს და უკრაინას.

რაც შეეხება შავ ზღვაში ნატოს სამხედრო გემების ყოფნას, აქ დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს 1936 წლის ივლისში შვეიცარიის ქალაქ მონტროში ხელმოწერილი

კონვენცია[11], რომელიც არეგულირებს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესს, აღნიშნულ კონვენციას ხელი მოაწერა რამდენიმე სახელმწიფომ, ესენია: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, თურქეთი, ბელგია, ბულგარეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ავსტრალია, იაპონია და საბერძნეთი. კონვენციის მიხედვით ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო გემებს (თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოების გამოკლებით) შავი ზღვის სრუტეებით თავისუფლად სარგებლობის უფლება გააჩნიათ ნებისმიერ ვითარებაში (საომარი თუ სამშვიდობო).

სამხედრო გემების შემთხვევაში კი გარკვეული შეზღუდვები ხორციელდება, ძირითადად იგი ეხება არაშავიზღვისწირა სახელმწიფოებს. მშვიდობიან პერიოდში მათ შეუძლიათ შავ ზღვაში შემოიყვანონ არაუმეტეს 45 ათასი ტონა წყალწყვის გემები და გაჩერდნენ მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში (მუხლი მე_18) , შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის ეს შეზღუდვა არ ვრცელდება.

ამ ეტაპზე, არ არის ცნობილი როგორ უნდა გადაიჭრას შავ ზღვაში ნატოს ყოფნის გაზრდის ისეთი შემაფერხებელი ფაქტორი, როგორიც არის 1936 წელს მიღებული მონტროში ხელმოწერილი კონვენცია. (მონტროს კონვენცია)

კონვენციის აღნიშნული მოთხოვნა აიძულებს ხმელთაშუა ზღვაში არსებული ამერიკის საზღვაო ძალების მეექვსე ოპერატიული ფლოტის სათანადო კლასის გემებს შემოვიდნენ შავ ზღვაში მხოლოდ როტაციის წესით. ამასთან დაკავშირებით, დადგა საკითხი მონტროს კონვენციაში ცვლილებების შეტანის გზით არსებული შეზღუდვების მოხნის შესახებ, პროცედურულად ეს შესაძლებელია. როგორც ცნობილია, კონფერენციის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ყოველ 20 წელიწადში ხდება.

[11] მ.კოწოწაშვილი - ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჯურნალი (2017 წელი) გვ: 100-105.

ვინაიდან ნებისმიერი ცვლილება მონტროს დოკუმენტში პირდაპირ თუ ირიბად ეხება საქართველოს უსაფრთხოებას , ეხება ოკუპირებულ აფხაზეთს და იქ განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს, ქართულ მხარეს მართებს სერიოზული დაფიქრება ამ საკითხზე. პირველ რიგში კი უნდა მოხდეს შეთანხმება, რომ ცვლილებების შეტანა მონტროს კონვენციაში არის აუცილებელი.

შავი ზღვის მილიტარიზაციის დონის შემცირება ძალიან მომგებიანია რეგიონის უსაფრთხოებისთვის. შესაძლო ცვლილებებიც მონტროს კონვენციაში შავ ზღვაში დაპირისპირების თავიდან აცილების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. მნიშვნელოვანი და საჭიროა, რომ ნებისმიერ შავიზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს შეიარაღებულ აგრესიას სხვა შავიზღვისპირა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახდენს მისი ტერიტორიის ოკუპაციას და ანექსიას, უნდა ჩამოერთვა შავი ზღვის სრუტეებში როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო გემების თავისუფლად გატარების უფლება. რათქმაუნდა, იგივე ნორმა უნდა დაწესდეს ამა თუ იმ შავიზღვისპირა სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში მყოფი არაშავიზღვისპირა სახელმწიფოს მიმართაც.

ზევით აღნიშნული იდეის სათანადოდ დახვეწის შემდეგ შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის შეთავაზებული წინადადების მიღება აუცილებლად ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვას, რეგიონში მყარი და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას.

აღსანიშნავია, რომ მონტროს კონვენციის მოქმედი რედაქციაც შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საომარი ვითარების დროს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობისას (მუხლი მე_19, მე_20). ისინი საიმედოდ იცავენ თურქეთის ინტერესებს. კონვენციის ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გასწორდეს. სწორედ ამ ფაქტორიდან გამომდინარე, თურქეთი მკაცრად ეწინააღმდეგება მონტროს კონვენციის გადახედვას, შესაბამისად დღეს, დღის წესრიგში კონვენციის გადახედვა არ დგას.

ბოლო წლებში შავ ზღვას ნატოს არაერთი სამხედრო ხომალდი სტუმრობს. 2019 წელს ფოთის პორტს ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) ოთხი ხომალდი ესტუმრა, ხომალდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვამ უმასპინძლა და სასიხარულოა, რომ ნატოს ხომალდებთან ერთად ერთობლივი წვრთნები ჩატარდა.

მედიაში დადასტურებული ინფორმაციით, აგრეთვე 2019 წელს ნატოს ორი სამხედრო ხომალდი შავ ზღვაში შევიდა. „ბოსფორუს ობზერვერის“ ინფორმაციით დარდანელის სრუტე გაიარეს ბრიტანელმა („ეიჩ-ემ-ეს დანქანი“) და კანადურმა (ეიჩ-ემ-სი-ეს ტორონტო“) სამხედრო ხომალდებმა და შავი ზღვის აკვატორიაში შევიდნენ. აღნიშნული ხომალდები უკრაინისკენ გაემართნენ სამხედრო სწავლებაში („სი ბრიზ 2019“ – „ Sea Breeze 2019”) მონაწილეობის მისაღებად.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის არაერთი პროექტი თუ გეგმა, რომელიც ნატომ შეიმუშავა, ესენია:

ოპერაცია აქტიური ძალისხმევა (Operation Active Endeavour)

პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (PAP)

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედი გეგმა (IPAP)

რომლებიც რა თქმა უნდა ცალკეულად, სიღრმისეულად იქნება ნაშრომში განხილული ნატოს მიერ განხორციელებულ პროექტებზე საუბრისას, (2.3) თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული როლი შეასრულა რეგიონის უსაფრთხოების საკითხში და ეს დღემდე ასეა.

ნატო დღესაც ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს შავი ზღვის რეგიონში, რადგან დაიცვას რეგიონში არსებული დემოკრატიული სახელმწიფოების უფლებები და ხელი შეუწყოს აღნიშნულ რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას, რადგან შეიძლება ითქვას, რომ დღეს შავ ზღვაში 5 კონფლიქტი მიმდინარეობს, ზოგიერთი მათგანი აქტიურ, ზოგიერთი კი გაყინულ მდგომარეობაშია, ესენია: კონფლიქტი დნესტრისპირეთში (მოლდოვა), ყირიმსა და დონბასში (უკრაინა) და აფხაზეთსა და

სამხრეთ ოსეთში (საქართველო), სადაც აქტიურად ხდება საზღვრების დარღვევა რუსეთის მიერ.

რეგიონში არსებული კონფლიქტები უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს შავი ზღვის უსაფრთხოებისათვის, რადგან ტრანსატლანტიკური ეფექტური თანამშრომლობა შეუძლებელია რუსეთის მხრიდან გამოვლენილი აგრესიის აღმოფხვრის გარეშე. ნატოს შავი ზღვის სტრატეგია 2021 წელს ფოკუსირებულია იმაზე, რომ დასრულდეს რეგიონში არსებული კონფლიქტები. ამასთან ერთად, ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ 2021 წლის აპრილში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის სამსახურმა გამოაქვეყნა საფრთხეების შეფასების წლიური ანგარიში (Intelligence Community) , სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ რუსეთი საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებს იყენებს და არსებულ რეალობაში ცალსახაა, რომ შავი ზღვის რეგიონში ხელსაყრელი პოზიციები უკავია.

აგრეთვე, 2021 წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ_ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის გამო რუსეთის პრეზიდენტი საფასურს მალე გადაიხდის, ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ფონზე, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ნატოს წამყვანი სახელმწიფოა, ამასთან ერთად კი ქვეყნის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ნატოს განიხილავს, როგორც ყველაზე ეფექტურ და პერსპექტიულ სამხედრო ალიანსს. აღსანიშნავია, რომ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციაში ძალიან კარგად იციან თანამედროვე საფრთხეების შესახებ, შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად გააქტიურდება საერთაშორისო არენაზე, მათ შორის შავი ზღვის რეგიონში. ბაიდენმა აშშ_ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნატოსთვის ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა და ხაზი გაუსვა მის მისწრაფებას - გულთბილი ურთიერთობები ჰქონდეს რუსეთის პრეზიდენტთან, რასაც ბაიდენი რადიკალურად არ ეთანხმება. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სტრატეგია

და მისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ პირდაპირ აისახება შავი ზღვის რეგიონზე და ნატოს სტრატეგიაზე რეგიონში უსაფრთხოების დამყარების კუთხით.

2.2 შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება რეგიონის მნიშვნელოვანი ასპექტების (რუსეთის და თურქეთის) კონტექსტში

ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, თანამედროვე სამყაროში ძალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ჩამოყალიბება. მისი მთავარი მიზანია ევროპაში ნატოს მონოპოლიის დასრულება და ნატოს გაფართოების შეჩერება. რუსეთის ამგვარი პოლიტიკის გამოვლინებაა მის მიერ გამოხატული აგრესია როგორც საქართველოს, ისე უკრაინის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

რუსეთის ფედერაციამ 2015 წელს შეიმუშავა ეროვნული საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის მრავალრეგიონულ საზღვაო ძალად ჩამოყალიბებას. შავი ზღვა არის ერთადერთი თბილი ზღვა რუსეთისათვის. ვლადიმერ პუტინის არაერთ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „აზოვისა და შავი ზღვის რეგიონები არის რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში.“ შავი ზღვა უზრუნველყოფს ძალიან მნიშვნელოვან სატრანსპორტო მარშუტებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია შავი ზღვის რეგიონს მიიჩნევს საკუთარი გავლენის სფეროს ნაწილად, მათი თქმით რუსეთს შავი ზღვის ქვეყნებთან კულტურული მემკვიდრეობა და საერთო ისტორიული წარსული აკავშირებს, შესაბამისად სერგეი ლავროვის განცხადება, რომ რუსეთი „შეწუხებულია“ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკით გულისხმობს ნატოს როლის შემცირებას პოსტ-საბჭოთა სივრცეში.

რუსეთის მთავარი სტრატეგია არის - „შავი ზღვის საფეხურეობრივი ხელახალი იმპერიალიზაცია“, რასაც ამტკიცებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, ასევე აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული აგრესია და ყირიმის ანექსია.

მონტროს კონვენცია მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, რადგან იგი არის გარანტი შავი ზღვის რეგიონში რუსეთის გავლენის და დომინანტი მდგომარეობის შენარჩუნების. აღნიშნული კონვენცია სრულ თანხვედრაშია რუსეთის ინტერესებთან.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის 2 მთავარი ამოცანაა:

1. ნატოს გაფართოების პოლიტიკის შეჩერება
2. საზღვაო ძალის განთავსება შავ ზღვაში

ორივე მათგანი რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, 2021 წლის 16 ივნისს გამართული შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს - ჯო ბაიდენს და რუსეთის პრეზიდენტს - ვლადიმერ პუტინს შორის. შეხვედრა გაიმართა ჟენევაში, რომელიც დაახლოებით 4 საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

სამიტის მიმართ ასეთ დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს ორ ყველაზე ძლიერ ბირთვულ სახელმწიფოს შორის გამწვავებული ურთიერთობა, რაც რათქმაუნდა ნეგატიურ გავლენას ახდენს საერთაშორისო გარემოზე.

თანამდებობის დაკავების შემდეგ აშშ_ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა, ამასთან ერთად რამდენიმე თვის წინ აშშ_ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინს მკვლელი უწოდა, ამ ფაქტზე კრემლის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა, პრეზიდენტ ბაიდენის განცხადებას „უპრეცედენტო“ უწოდა და გააფრთხილა ვაშინგტონი, რომ რუსეთის ფედერაცია „აბსოლუტურად მკაფიო“ პასუხს გასცემდა აშშ_ის პრეზიდენტის ამ განცხადებას.

შესაბამისად გასაკვირი არ არის, რომ ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრა ასეთ დიდ ინტერესს იწვევდა, ამ შეხვედრით პასუხი გაეცემოდა მთავარ კითხვას - ჯო ბაიდენი და ვლადიმერ პუტინი მოახერხებდნენ თუ არა ძირითად საკითხებზე შეთანხმებას.

ჯო ბაიდენი ჟენევაში 15 ივნისს ჩავიდა, რუსეთის პრეზიდენტი კი 16 ივნისს. სტუმრებს ვილა ლა გრანჟში შვეიცარიის პრეზიდენტი - გი პარმელენი დახვდა, თუმცა შეხვედრა ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს შორის ცალკე, დახურულ კარს მიღმა გაიმართა, მათ თანმხლებ პირებთან ერთად.

სამიტის დაწყებამდე უკვე ცნობილი იყო, რომ აშშ_ისა და რუსეთის ლიდერები შეხვედრის შემდეგ ცალ-ცალკე გამართავდნენ პრესკონფერენციებს.

პირველი პრესკონფერენცია რუსეთის პრეზიდენტმა - ვლადიმერ პუტინმა გამართა:

„ჩვენ პირისპირ 2 საათის განმავლობაში ვსაუბრობდით, მაგრამ ჩვენ ასე ყველა ლიდერთან ვსაუბრობთ. შეხვედრაზე არ ყოფილა არანაირი მტრული განწყობა. შეხვედრა ატარებდა პრინციპულ ხასიათს. ჩვენი პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ საუბარი ერთობ კონსტრუქციული იყო.“

სამიტის შედეგებთან დაკავშირებით ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ აშშ_ის პრეზიდენტთან მიღწეულია შეთანხმება ელჩების დაბრუნების თაობაზე.

ბაიდენის და პუტინის სამიტის წინ როგორც მოსკოვი, ისე ვაშინგტონი მოლაპარაკებაზე განსახილველ საკითხებს შორის აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტსა და უკრაინის ნატოში შესაძლო გაწევრიანებას ასახელებდა. ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა დაადასტურა, რომ უკრაინის საკითხზე გარკვეული მსჯელობა მართლაც გაიმართა. უკრაინის მიმართ ნაკისრ ვალდებულებასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთს მხოლოდ ერთადერთი ვალდებულება აქვს: მინსკის შეთანხმების რეალიზების ხელშეწყობა.

პუტინის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების და რუსეთის ლიდერები შეთანხმდნენ:

1. კონსულტაციების დაწყებაზე კიბერთავდასხმებისა და კიბერუსაფრთხოების გარშემო.

2. ნავალნიზე საუბრის დროს პუტინმა ფაქტიურად, ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის პოლიტიკური ოპოზიციის მხარდაჭერაში დაადანაშაულა, ხოლო ნავალნის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდს რუსეთის პრეზიდენტმა „ექსტრემისტული“ ორგანიზაცია უწოდა.

3. რუსეთის პრეზიდენტმა დაადასტურა ასევე, რომ ჯო ბაიდენთან წამოიჭრა რადიო თვისუფალი ევროპა / რადიო თავისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხი. რუსეთს პრეზიდენტის თანახმად, მედიაორგანიზაცია სრულად არ იცავს „უცხოეთის აგენტის“ შესახებ კანონს, მაგრამ პუტინმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი განხილული იქნება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დონეზე.

4. რაც შეეხება მის მოხსენიებას „მკვლელად“ ვლადიმერ პუტინმა ამის საპასუხოდ ამერიკის შეერთებული შტატები გააკრიტიკა ერაყში მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვასა და გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე საიდუმლო ციხის არსებობაში.

და ბოლოს, რუსეთის ლიდერმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ამერიკის ლიდერთან შეხვედრის დროს მათ შორის არ ყოფილა სრული ნდობა, არამედ მხოლოდ „ნდობის ნაპერწკალმა“ გაიელვა.

„მე ვფიქრობ, ერთმანეთს გავუგეთ, მაგრამ ეს აუცილებლად იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს თვალებში უნდა ჩავხედოთ, სული დავინახოთ და ერთმანეთს მარადიული სიყვარული შევფიცოთ. ჩვენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს

ვიცავთ და ეს ურთიერთობები ყოველთვის პრაგმატიზმზეა დამყარებული“ - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

ჯო ბაიდენმა კი სამიტის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისთვის რუსეთის პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო, რადგან თავიდან აეცილებინა არასწორი ინტერპრეტაციები იმისა, რაც თანამოსაუბრისათვის სურდა ეცნობებინა.

„ჩვენ ერთმანეთის პირისპირ 2 საათი დავყავით და ორივეს გვაკისრია უნიკალური მოვალეობები. ჩვენ შორის არსებობს განსხვავება, მაგრამ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სტაბილური ურთიერთობები არავითარი მუქარა არ ყოფილა არც ერთი მხრიდან. უბრალოდ ისმოდა მტკიცებულებები. ჩვენ ვსაუბრობთ საბაზისო საკითხებზე. მე პუტინს ვუთხარი, რომ ჩემი ამოცანა ამერიკელი ხალხის დაცვაა და არა რუსეთისთვის ზიანის მიყენება.“

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თქმით, მან ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ აშშ კვლავ გააგრძელებს უკრაინის ურყევ მხარდაჭერას.

აშშ-_ის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ იგი კვლავ გააგრძელებს ალექსეი ნავალნისა და ყველა იმ ადამიანის მხარდაჭერას, რომელთა უფლებები ირღვევა. აქ ბაიდენმა ახსენა ის ამერიკელი მოქალაქეები, რომლებიც რუსეთის საპატიმროებში იხდიდნენ სასჯელს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტის სამიტის შემდეგ გამოქვეყნდა განცხადება სტრატეგიული სტაბილურობის შესახებ. „ჩვენ ვადასტურებთ იმ პრინციპისადმი ერთგულებას, რომლის თანახმად, ბირთვულ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული და ის არასოდეს არ უნდა გაჩაღდეს. ამ მიზნის მისაღწევად აშშ და რუსეთი უახლოეს ხანში აამოქმედებენ კომპლექსურ ორმხრივ დიალოგს სტრატეგიული სტაბილურობის საკითებზე“ - ნათქვამია ამ დოკუმენტში, რომელიც კრემლის საიტზე გამოქვეყნდა ჟენევის შეხვედრის დასრულების შემდეგ.

პუტინის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან კარგად ჩანს, რომ რუსეთის ფედერაცია არ აპირებს უკან დახევას მნიშვნელოვან და ეროვნულ საკითხებზე, აგრეთვე არ აპირებს საკუთარი პოლიტიკის შეცვლას. შავი ზღვის რეგიონი რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფერო იყო და იქნება.

თურქეთს მკვლევართა ნაწილი უწოდებს სწრაფად მზარდ რეგიონულ ძალას. ფრიდმანს მიაჩნია, რომ თურქეთს აქვს სტრატეგიული ძალა, რაც ახალი რეგიონული ძალის აღმოცენებას ნიშნავს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მას გააჩნია დამოუკიდებელი ეროვნული ინტერესები, რომელიც ხშირად განსხვავებულია ნატო_ს და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისგან. თურქეთი არც თუ იშვიათად განიხილება, როგორც რეგიონული ძალა და ის აცხადებს პრეტენზიას ლიდერობაზე, რადგან აქვს აქტიური საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი და ფლობს შესაბამისი ძალის რესურსს.

მონტროს კონვენციას, რომელიც მოქმედებს 1936 წლიდან თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აღნიშნული კონვენცია თურქეთს აძლევს უფლებას გააკონტროლოს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, აგრეთვე აკისრებს პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე. კონვენციის თანახმად სამგზავრო და სავაჭრო გემებს შავ ზღვაში თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვთ, თუმცა იგივე კონვენცია ზღუდავს იმ სამხედრო გემების ყოფნას შავ ზღვაში, რომლებიც არ ეკუთვნის შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებს. სამხედრო გემებს შავ ზღვაში დარჩენა მხოლოდ 21 დღე შეუძლიათ. სრუტეების კონტროლი თურქეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რაც მონტროს კონვენციით არის შემუშავებული.

ცივი ომის პერიოდში მონტროს კონვენციის დაცვა ყველა აქტორის ინტერესებში იყო, რადგან ეს ზღუდავდა სსრკ_ს ფლოტის სწრაფ გადაადგილებას ხმელთაშუა ზღვაში, თუმცა ცივი ომის დასრულების შემდეგ შეცვლილმა რეალობამ, ნატოს გაფართოებამ და ტერორიზმის საფრთხემ მონტროს კონვენციის გადახედვის

საჭიროება დააყენა, მაგრამ ეს წინადადება თურქეთისა და რუსეთისათვის მიუღებელია, რადგან ორივეს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

თურქეთი ანტი-ტერორისტულ ოპერაციებში აქტიურად არის ჩართული, თუმცა 2006 წლის იანვარში Operation Active Endeavour (OAE) ფარგლებში მოქმედებას შავი ზღვის აუზში შეეწინააღმდეგა, რაც მონტროს კონვენციის დაცვის მოტივით ახსნა. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს თურქეთი შეეწინააღმდეგამონტროს კონვენციის დარღვევას და საქართველოს დასახმარებლად ამერიკის შეერთებული შტატების გემების მიღებას შავ ზღვაში, რომლებიც აჭარბებდნენ შეთანხმებით მიღებულ წონას, ხოლო 2014 წელს ყირიმის კრიზისის დროს თურქეთმა ნება დართო აშშ_ის გემებს 11 დღით მეტ ხანს დარჩენილიყვნენ შავი ზღვის აუზში, ამ ქმედების გამო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თურქეთი მონტროს კონვენციის დარღვევაში დაადანაშაულა, თუმცა ოფიციალური თურქეთი უარყოფს ამ ფაქტს.

მონტროს კონვენცია თურქეთისა და რუსეთისათვის უსაფრთხოების სისტემის საფუძველია შავი ზღვის რეგიონში, რადგან იგი ზღუდავს სხვა აქტორების ჩართულობას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში შავი ზღვის რეგიონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან მას უდიდესი ეკონომიკური, სატრანსპორტო და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თურქეთისთვის შავი ზღვის რეგიონი არის საკუთრი ძალის, გავლენის და საერთაშორისო პრესტიჟის მთავარი წყარო, რაც გეოგრაფიული და ისტორიული რეალობით არის გამოწვეული.

თურქეთმა ცივი ომის დასრულების შემდეგ, როგორც დამოუკიდებელი ინტერესების მქონე მოთამაშემ ისე დაიწყო მოქმედება. 1990_იანი წლებიდან თურქეთი აქტიურ მონაწილეობას იღებს რეგიონში არსებული კონფლიქტების და პრობლემების გადაჭრაში. იქიდან გამომდინარე, რომ თურქეთს მიაჩნდა სხვა რეგიონულ ძალებთან შედარებით მეტი რესურსი გააჩნდა, გაუჩნდა სურვილი

რეგიონის წამყვან ძალად ქცეულიყო, ამიტომაც მან დაიწყო საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტების შექმნა და განვითარება. მათ შორის, ხაზგასასმელია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნის ინიციატივა, რომელიც შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს პროექტი წარმატებით ვერ განხორციელდა, რისი ძირითადი მიზეზიც წევრებს შორის ინტერესთა შეუთავსებლობა იყო.

რაც შეეხება თურქეთის პოზიციას ყირიმის ანექსიაზე, თავდაპირველად რუსეთის მიერ გამოხატულმა აგრესიულმა პოლიტიკამ ყირიმის (უკრაინის) მიმართ ძალიან დიდი შეშფოთება გამოიწვია თურქეთის მხრიდან. 2016 წელს, თურქეთის პრეზიდენტმა -ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ განხორციელებულმა ყირიმის ანექსიამ შავი ზღვა „რუსეთის ტბად“ გადააქცია.

თავდაპირველად რუსეთის ქმედებებით თურქეთი ძალიან შეშფოთებული იყო, ამიტომ მისთვის საკმაოდ არატრადიციულ პოლიტიკას მიმართა, რაშიც იგულისხმება სხვა აქტორების ჩართულობის მხარდაჭერა ძველი, ტრადიციული ბალანსის აღსადგენად. ერდოღანმა იენს სტოლტენბერგთან შეხვედრისას განაცხადა, რომ თუ ნატოს წევრი სახელმწიფოები არ მიიღებენ ერთობლივ ზომებს შავი ზღვის რეგიონში ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მათ „ისტორია არ აპატიებს უმოქმედობას“ („Who needs joint NATO fleet in the Black Sea?” 2016)

2015 წელს უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობები რუსეთსა და თურქეთს შორის, რაც შავი ზღვის სივრცეში გამოიხატა, ამავე წლის დეკემბერში თურქეთმა რუსეთის საბრძოლო თვითფრინავი ჩამოაგდო, საპასუხოდ კი რუსეთმა თურქეთს სანქციები დაუწესა პროდუქტების ექსპორტსა და ვიზებზე, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ქვეყნებმა შეძლეს საერთო ენის გამონახვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

2016 წლის გაზაფხულიდან რუსეთი და თურქეთი აქტიურად თანამშრომლობენ ისეთ საკითებში, როგორიცაა სირიის კონფლიქტი. აღსანიშნავია, რომ ორ ქვეყანას შორის ღრმავდება სამხედრო-ტექნიკური მიმართულებებით თანამშრომლობა.

2017 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები რუსეთისგან „ეს-400“ ანტისარაკეტო სისტემის შესყიდვის თაობაზე, აღნიშნული ფაქტი მიუღებელია ნატოსთვის. ბოლო წლებში რუსეთი და თურქეთი მჭიდროდ თანამშრომლობენ სირიის საკითხზე, 2020 წლის თებერვალში მხარეებმა ხაზი გაუსვეს სირიის არაბული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საჭიროებას. მათი თქმით აუცილებელია გააქტიურდეს კონსულტაციები იდლიბის საკითხზე, კერძოდ სამხედრო უწყებების მიმართულებით.

2021 წლის გაზაფხულზე კი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ატომური ელექტროსადგურის „აკუიუს“ მესამე ენერგობლოკის მშენებლობის დაწყების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელეს. ენერგობლოკი თურქეთის მერსინის პროვინციაში აშენდება. მას რუსული სახელმწიფო კორპორაცია „როსატომი“ ააშენებს.

რუსეთ-თურქეთის „დაახლოება“ იწვევს შავი ზღვის რეგიონის სხვა აქტორების როლის შესუსტებას და ცალსახად გულისხმობს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების რეგიონულ დონეზე (თურქეთისა და რუსეთის მიერ) გადაწყვეტას. აღნიშნული ფაქტი უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ნატოსათვის და ხელს უშლის რუსეთის შეკავების პოლიტიკას.

2.3 შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება საქართველოს და უკრაინის კონტექსტში

<u>საქართველო</u>

საქართველოსათვის შავი ზღვა ერთადერთი შეხების წერტილია ევროატლანტიკურ სივრცესთან, რომელში ინტეგრაციაც საქართველოს ურყევი საგარეო პოლიტიკური კურსია.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება საქართველოს ეკონომიკურ, სავაჭრო და სატრანსპორტო შესაძლებლობებზე მნიშვნელოვნად აისახება, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც საქართველო ჩაერთო აბრეშუმის გზის პროექტში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ნატოსთან ურთიერთობების გაღრმავების კონტექსტში. შავი ზღვის უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხია საქართველოს და ნატოს უმაღლესი დონის წარმომადგენლობის შეხვედრების ფორმატში.

2018 წლის იანვარში გენერალური შტაბების უფროსების დონეზე ნატოს სამხედრო კომიტეტის სხდომაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს წარმომადგენელმა, სადაც ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცება.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ამ დინამიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით საქართველო მუდმივად ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ მნიშვნელობას ევრო-ატლანტიკური სივრცისა და გლობალური უსაფრთხოებისათვის , რასაც ცხადყოფს საქართველოს მთავრობის წევრების არაერთი განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას - ალიანსმა გააძლიეროს შავ ზღვაში წარმომადგენლობა საქართველო მაშინვე გამოეხმაურა.მას შემდეგ კი აქტიურად ცდილობს საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს ნატოს ახალ ინიციატივებში და აქტიურად ჩაერთოს აღნიშნულ საკითხზე გამართულ დისკუსიებში.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მნიშვნელობა საქართველოსთვის მხოლოდ საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობებით არ შემოიფარგლება და მას რეალური გავლენა აქვს უსაფრთხოების გარემოზე. ქვეყნისათვის შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის განსაკუთრებულ აქტუალურობაზე მეტყველებს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის განხილვა.

საქართველო მუდამ აცხადებს მზადყოფნას, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს შავ ზღვაზე უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცებაში, ამასთან ერთად საქართველოს მცდელობა საკუთარი თავი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სისტემის განუყოფელ ნაწილად წარმოაჩინოს მხოლოდ ცალმხრივი რიტორიკა არ არის და შეიძლება ითქვას, რომ წახალისებულია თავად ნატოს მხრიდან, ამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ ნატოს სამხედრო კომიტეტის საქართველოში გამართულ სესიაზე აღინიშნა: საქართველო შვი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში იქნება არა მხოლოდ მონაწილე, არამედ უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი. საქართველოს დისკურსში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება ნახსენებია ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტში. აგრეთვე, თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში საქართველოს უსაფრთხოების გარემოს რეგიონულ დონეზე, კვლავ გამოყოფილია შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების კომპლექსური და არამდგრადი ვითარება, ყირიმის ანექსიის და უკრაინის აღმოსავლეთით განვითარებული პროცესები, რაც ნახსენებია როგორც, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს

როგორც მტლიანად რეგიონის, ისე საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე და განვითარებაზე.

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია 2021 წლის მაისში იენს სტოლტენბერგის მიერ გაკეთებული განცხადება, ნატოს სამიტის შესახებ, რომელიც 14 ივნისს ჩატარდა, იენს სტოლტენბერგმა მაისში, სანამ სამიტი გაიმართებოდა განაცხადა, რომ ნატომ შავი ზღვის რეგიონში წარმომადგენლობა გაზარდა, სადაც ალიანსს ყავს სამი წევრი სახემწიფო - ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი. ასევე ორი ძალიან ღირებული პარტნიორი - საქართველო და უკრაინა. ნატო ძალიან აქტიურად მუშაობს მათთან, ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობს შვი ზღვის რეგიონის უსაფრთოებაზე, ალიანსი წარმოდგენილია შავი ზღვის რეგიონში ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაზე. ხოლო უკვე ივნისში ჩატარებულ სამიტზე კვლავ ხაზი გაესვა შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას და უსაფრთხოების საკითხებს, ამასთან ერთად ალიანსმა კვლავ გამოთქვა სურვილი საქართველოსთან და უკრაინასთან მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ.

<u>უკრაინა</u>

უკრაინისთვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება, მათ შორის საზღვაო უსაფრთხოება, პირდაპირ არის დაკავშირებული მის ეროვნულ უსაფრთხოებასთან და განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ყირიმის ანექსიის შემდეგ.

უკრაინისათვის რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსია განიხილება შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში, ასევე შავი ზღვის უსაფრთხოება ხშირად მოიაზრება ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში.

უკრაინამ, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთმა მთავარმა რეგიონულმა აქტორმა ჯერ კიდევ 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო საუბარი და ამასთან ერთად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გასაძლიერებლად, რაც მოაზრებული იყო რეგიონში „ევროპული უსაფრთხოების სივრცის“ შექმნად.

მაგალითად: 2010 წელს „ხარკოვის შეთანხმების“ გაფორმების შემდეგ, რომელიც გულისხმობდა უკრაინული შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებას ყირიმში, უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივა დაკავშირებულია „ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის“ შექმნასთან. საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინის მნიშვნელობასა და მის როლზე ხშირად ხდება ხაზგასმა სწორედ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ხაზგასასმელია ასევე ის, რომ 2017 წელს ნატო-უკრაინის ქარტიის 20 წლისთავის აღსანიშნავად უკრაინის პარლამენტში - უმაღლეს რადაში ნატოს საპარლამენტო ასამბლეასთან თანამშრომლობით გაიმართა 3 დღიანი ღონისძიება, თემაზე - „უსაფრთხოება და სტაბილურობა უკრაინასა და შავი ზღვის რეგიონში“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც უკრაინის პრეზიდენტი და მაღალი რანგის პოლიტიკოსები, ასევე ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე.

2021 წლის ნატოს სამიტი, რომელივ ივნისში გაიმართა უკრაინისთვისაც, ისევე როგორც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონული უსაფრთხოებვის კუთხით.

2.4 ნატოს მიერ განხორციელებული პროექტები შავი ზღვის რეგიონში

ბულგარეთისა და რუმინეთის ნატოში გაწევრიანების შემდეგ (2014 წელი) შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება პირდაპირ გახდა დაკავშირებული ალიანსის უსაფრთხოებასთან.

დღეს, შავი ზღვის 6 სანაპირო ქვეყნიდან 3 ალიანსის წევსი სახელმწიფოა: ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, ხოლო ორს საქართველოს და უკრაინას მასში გაწევრიანება სურს.

ნაშრომში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ნატოსთვის შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან რეგიონს ევროპულ კოლექტიურ თავდაცვის სისტემაში სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს და აგრეთვე რუსეთთან გამკლავების მთავარ ფრონტს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ ნატომ რეგიონში არსებულ ყველა სახელმწიფოსთან დაამყარა ინსტიტუციონალიზირებული კავშირები და შექმნა გარკვეული პროექტები რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად, მაგალითად: ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამა და სხვა. ამ თავში განხილულია მათგან ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკიდან გამომდინარე ალიანსის ინიციატივით შავი ზღვის ქვეყნებმა ერთობლივად იმუშავეს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევების საერთო დოკუმენტზე (SEECAP).

ალიანსის მხრიდან არაერთი სამხედრო ინიციატივა არსებობს შავი ზღვის აუზისადმი. მათ შორისაა Operation Active Endeavour (OAE) , რომელიც 2001 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ხმელთაშუა ზღვის წყლებში და მოიცავდა სამხედრო საზღვაო ძალების - სამხედრო გემების, წყალქვეშა ნავების, თვითფრინავების და შვეულფრენების პატრულირებას. Operation Active Endeavour_ის მიზანს წარმოადგენდა ტერორისტული და კრიმინალური მოქმედებების გამოვლენა და აღკვეთა. 2003 წლის გაზაფხულიდან ნატო ამოწმებს საეჭვო ხომალდებს, აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალებმა განახორციელა რამდენიმე სამაშველო ოპერაცია, მათ შორის არის მძირავი გემებიდან ეკიპაჟის ევაკუაცია და სხვა. ოპერაცია აქტიური ძალისხმევა

წარმოადგენს ფართომასშტაბიან საზღვაოსნო უსაფრთხოების ოპერაციას მუდმივი ფლოტით, მაგრამ რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგობის გამო აღნიშნული ინიციატივა შავ ზღვაში ვერ განხორციელდა.

შავ ზღვაში ნატოს სამხედრო მისიებიდან აუცილებლად უნდა გამოვყოთ პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (PAP) და ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP).

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატები და თურქეთი, რუმინეთთან და ბულაგრეთთან ერთად მუშაობდა საქართველოსა და აზერბაიჯანში თავდაცვის რეფორმების პროგრამებზე.

აგრეთვე ნატომ მიიღო პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (PAP) ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 46 ქვეყანა, ხოლო უკვე სტამბულის სამიტის შემდეგ მიღებულ იქნა პარტნიორობის სამოქმედო გეგმა თავდაცვის ინსტიტუციური გაძლიერების (PAP-DIB) და შავი ზღვის შესახებ (PAP-BS), რომლებიც ალიანსს ეხმარებიან თანამშრომლობის გაღრმავებაში და პარტნიორების თავდაცვის რეფორმირებაში ჩასართავად.

ნატოს მიერ განხორციელებულ ქმედით ნაბიჯებზე და პროექტებზე საუბრისას აუცილებელია ვახსენოთ ვარშავის სამიტის დეკლარაცია, რომელშიც ყირიმის ანექსიის და ზოგადად შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიიის შემდეგ, ხაზი გაესვა რუმინეთის ინიციატივით მრავალეროვნული ბრიგადის ჩამოყალიბებას, ამ დეკლარაციაში გამახვილებულია ყურადღება დიალოგზე და თანამშრომლობაზე საქართველოსთან და უკრაინასთან, რადგან რუსეთისგან პირდაპირი აგრესია ხორციელდება ამ ორი დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ, ყირიმის ანექსია და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ამ ფაქტის ნათელი მაგალითია.

„სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“ - ეს არის რეზოლუცია, რომელიც ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიიღეს. იგი მომზადებულია

გერმანელი დეპუტატის ულა შმიდტის მიერ. დოკუმენტში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ რუსეთმა გააძლიერა ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონზე და შესაბამისად უნდა მოხდეს რუსეთის შეკავება და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერება. აღნიშნული რეზოლუციის მიხედვით საქართველოს და უკრაინას შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორი ქვეყანა რუსეთის აგრესიის მსხვერპლია, რაც გამოხატულია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომით და 2014 წელს ყირიმის ანექსიით. რეზოლუცია გმობს საქართველოს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის უპატივცემულობას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მწვავე დარღვევას.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ შავი ზღვის რეგიონში ნატოს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სამხედრო წარმომადგენლობის საკითხი განიხილეს და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამ მიმართულებით უდიდეს პროგრესს აქვს ადგილი და ალიანსში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე ერთსულოვანი აზრი არსებობს. („Stoltenberg on strengthening NATO's presence in Black Sea region: "We are working on measures in the air and at sea.")

"პარტნიორობა მშვიდობისათვის"

პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (Partnership for peace, PFP) არის ნატოს იგივე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პროექტი, რომლის მიზანია ნატოს, ევროპის სხვა ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების და თანამშრომლობის ჩამოყალიბება. იგი თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით ჩამოყალიბდა 1993 წელს, ხოლო 1994 წლის იანვარში მეტად დაიხვეწა და ჩამოყალიბდა, როგორც პრაქტიკული თანამშრომლობის ორმხრივი პროგრამა, რომელიც პარტნიორ ქვეყნებს საშუალებას აძლევს ინდივიდუალური ურთიერთობა დაამყაროს ალიანსთან.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის საფრთხის თავიდან აცილება და სტაბილურობის განმტკიცება ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის, ალიანსი ატარებს ერთობლის წვრთნებს შავი ზღვის აუზში, უახლესი სასწავლო წვრთნა განხორციელდა 2021 წლის ზამთარში. ოფიციალური ინფორმაციით დამუშავდა ერთობლივი ელემენტები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ნატოს უპირატესობა წყალზე და ჰაერში, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასწავლო წვრთნის რეალობაში განხორციელება შავი ზღვის აუზში ამ ეტაპზე საკმაოდ რთული და წარმოუდგენელია რუსეთის პოლიტიკის და მისი რეგიონში დომინანტური მდგომარეობის გამო.

III თავი. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) მიზნები შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების პროცესში

ნატოსთვის შავ ზღვას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, შესაბამისად ალიანსის მიზანს წარმოადგენს რუსეთის აგრესიის შეჩერება, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, რადგან შავი ზღვის რეგიონს სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის შენარჩუნებაში. აღნიშნულ რეგიონში განვითარებული მოვლენები ყოველთვის ახდენს გავლენას მსოფლიოზე.

3.1 ნატო-საქართველოს ურთიერთობები და სამომავლო გეგმები

საქართველოსთვის შავი ზღვა გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთადერთი დამაკავშირებელი წერტილია ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან, რომელში ინტეგრაციაც საქართველოს უდიდესი სურვილი და მიზანია.

აბრეშუმის გზის პროექტში ჩართვის შემდეგ შავი ზღვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა საქართველოსთვის, ამასთან ერთად, რეგიონის უსაფრთხოება დაკავშირებულია ნატოში ინტეგრაციასთან.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანი არის საქართველოსთვის, რადგან ნატოში ინტეგრაცია და მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთისგან თავის დაღწევის საშუალებაა.

1992 წლიდან იწყება ნატო-საქართველოს ურთიერთობები , 1994 წელს კი საქართველო ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (Partnership for peace – PFP)

პროგრამის თანამონაწილე გახდა. 2002 წელს კი ნატოს პრაღის სამიტზე საქართველომ ოფიციალურად განაცხადა სურვილი ალიანსში გაწევრიანების თაობაზე და სწორედ ამ დღიდან დაიწყო ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

2004 წელს ნატომ დაიწყო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (Individual Partnership Action Plan – IPAP) ფარგლებში თანამშრომლობა საქართველოსთან, რადგან ქვეყანაში გატარებულიყო დემოკრატიული რეფორმები. 2008 წლის აგვისტოში გაიმართა ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრა, სადაც დაგმობილ იქნა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია საქართველოს მიმართ და მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს კომისიის (NATO Georgia Commission – NGC) შექმნის გადაწყვეტილება, რომელიც მოწოდებულია გაამლიეროს ურთიერთობა ნატო-საქართველოს შორის და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას) ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ალიანსმა სრულად ასახა საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე , აგრეთვე მის შემდეგ მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მათ შორის აღსანიშნავია:

1. ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი (მითითებით, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა არის ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი)

2. ალიანსი მიესალმება 2008 წლიდან საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს.

3. საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ნატოს წევრობისათვის მოსამზადებელ ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს.

მნიშვნელოვანია, რომ ვარშავის სამიტის ფარგლებში ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. აგრეთვე, გამოიცა ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივი განცხადება , რომელშიც სამიტის დეკლარაციაში ასახული ელემენტების გარდა ხაზი გაესვა შემდეგ ფაქტორებს:

1. ტრანსფორმაციის გაერთიანებულ სარდლობას (Allied Command Transformation) დაევალა, უზრუნველყოს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) აფილირება ალიანსის სწავლებისა და წვრთნების სამუშაოებთან.

2. ალიანსი მხარს დაუჭერს საქართველოში ნატო-ს წვრთნების რეგულარულად ჩატარებას, რომლებიც ღია იქნება პარტნიორებისათვის

3. საქართველოსთვის თავდაცვის სფეროში წვრთნებისა და განათლების სფეროს მხარდაჭერა ასევე ითვალისწინებს ნატო-ს მიერ ნდობის ფონდის (Trust Fund Project) პროექტის განხორციელების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ნატო-საქართველოს კომისიის დაახლოებით 20 სხდომა იმართება, სადაც განხილულია თავდაცვის, უსაფრთხოების საკითხები, ასევე კომისიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა.

თავის მხრივ საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში აქტიურად მონაწილეობს, იგი იღებს მონაწილეობას ნატოს მისიებში, 1999 წლის 31 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის ძალები ნატოს

პირველივე სამშვიდობო მისიაში - „კოსოვოს ძალები“ ჩაერთო, ხოლო 2003-2008 წლებში საქართველო ერაყში ნატოს მისიას „მრავალეროვნულ ძალებს“ შეუერთდა. აღსანიშნავია მისია ავღანეთში, 2004 წლის აგვისტოდან საქართველოს თავდაცვის ძალები ნატოს საერთაშორისო მისიაში „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (International Security Assistance Force) ჩაერთო, ხოლო უკვე 2015 წლიდან ავღანეთში ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (Resolute Support Mission) ჩაერთო, სადაც საქართველო უმსხვილესი კონტრიბუტორია ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მისიაში გაგზავნილი სამხედროების რაოდენობის მიხედვით. 2021 წლის გაზაფხულზე, ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, მიმდინარე წლის სექტემბრამდე ავღანეთში არსებული „მტკიცე მხარდაჭერის“ მისია ეტაპობრივად დაასრულოს, შესაბამისად ქართველი სამხედროების დაბრუნებაც ეტაპობრივად მოხდება სამშობლოში.

იქიდან გამომდინარე, რომ ნატო საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და რეგიონში უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარი წყაროა, საქართველო აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ალიანსთან, მეორე მხრივ კი საქართველოც საკუთარი საქართველოც საკუთარი ტერიტორიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ალიანსის ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ამიტომ ნატო-საქართველოს ურთიერთობებს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ საჭიროა უფრო მეტად გაღრმავება, რადგან შეიძლება ითქვას,რომ ბოლო წლებში ნატო-საქართველოს ურთიერთობები აქტიურად არ მიმდინარეობდა, თუმცა საიმედოა ამერიკის შეერთებული შტატების ჟო ბაიდენის განცხადებები შავი ზღვის რეგიონთან და საქართველოსთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ ნატოს წევრი ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი სახელმწიფოა, რომელიც დიდ როლს თამაშობს ალიანსის დღის წესრიგის შედგენაში.

3.2 ნატოს სამომავლო გეგმები და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროს განვითარების პერსპექტივები

ნატოს მხრიდან, შავი ზღვის რეგიონის მიმართ დათმობილმა ყურადღებამ ნათლად აჩვენა, რომ აღნიშნული რეგიონი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილად მოიაზრება.

რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე (რაშიც იგულისხმება რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია, უახლოეს წარსულში საქართველოს და უკრაინის მიმართ, რაც დღემდე გრძელდება) ნატოს წარმომადგენლობა შავ ზღვაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამ წარმომადგენლობაში ჭარბობს ამერიკის შეერთებული შტატების გემები. აგრეთვე გაზრდილია აშშ_ის სამხედრო-საზღვაო ძალების და ნატოს საჰაერო ძალების ერთობლივი წვრთნა რეგიონში, რომელიც ოფიციალური ინფორმაციით 2021 წლის იანვარში გაიმართა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნატო-საქართველოს წვრთნების და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსებიდან 5 წელი გავიდა 2021 წლის ივნისს, რომელიც საზეიმოდ აღინიშნა.

2021 წელს შავი ზღვის რეგიონში სიტუაცია კვლავ არ არის დასტაბილურებული, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში 5 კონფლიქტი მძვინვარებს, რომლებსაც ან გაყინული ან აქტიური სტატუსი გააჩნიათ, ესენია: კონფლიქტები ყირიმსა და დონბასში (უკრაინა) , კონფლიქტები დნესტრისპირეთში (მოდლოვა) და კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (საქართველო) , შესაბამისად აუცილებელია შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებისათვის გაგრძელდეს ნატოს გაფართოების პოლიტიკა, რადგან რეგიონში მოხდეს სტაბილურობის და მშვიდობის დამყარება.

2020 წლის და 2021 წლის დასაწყისში შავი ზღვის რეგიონში მომხდარი პროცესების ანალიზისას და ნატოს სამომავლო პერსპექტივების განხილვისას თავდაპირველად უნდა ავღნიშნოთ Covid პანდემიის შედეგად შექმნილი გლობალური კრიზისი, თუმცა ისტორიის მიხედვით ყველა ფართომასშტაბიან კრიზისს თან ახლდა

გარდამტეხი ცვლილებები. შესაბამისად ეს რთული პერიოდი გვიბიძგებს ვიფიქროთ ახლებურად, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტალური პრინციპია სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობა მიუხედავად მათი სიდიდისა, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიძლიერისა. შავ ზღვაში არსებული სახელმწიფოებიც მათი შესაძლებლობების და გავლენების მიუხედავად თანასწორნი არიან, შესაბამისად ვერც ერთმა დომინანტმა სახელმწიფომ ვერ უნდა მოახდინოს პატარა ქვეყნების დაჩაგვრა - ნატოს ფუნდამენტალური პრინციპიც სწორედ ეს არის.

დღეს, შავ ზღვაში ნატოს სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე საუბრისას აუცილებლად ყურადღება გასამახვილებელია ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებზე და მის სამომავლო გეგმებზე, რადგან აშშ ალიანსის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა, მითუმეტს იმ ფონზე, როდესაც ჯო ბაიდენმა მისი წინამორბედი დონალდ ტრამპი ნატოს როლის შემცირებაში დაადანაშაულა და ცალსახად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავის მაქსიმუმს გააკეთებს ალიანსის გასაძლიერებლად.

2020 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო საქართველოს ეწვია, რაც ცხადყოფს, რომ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობა მტკიცეა. აშშ ურყევ მხარდაჭერას გამოხატავს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერცერთი ქვეყანის ცენტრალური მთავრობა, რომელმაც აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხერთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

ალიანსმა უნდა შეინარჩუნოს და კვლავ აწარმოოს დიალოგი საქართველოსთან და უკრაინასთან, განაგრძოს ღია კარის პოლიტიკა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნატოს ინტერესი შავი ზღვის უსაფრთოებასთან ერთად არის ტერორიზმის და ჰიბრიდული საფრთხეების აღმოფხვრა თანამშრომლობა აუცილებლად უნდა გაგარძელდეს.

იმის ფონზე, რომ ახლო მომავალში არ განიხილება მონტროს კონვენციის გადახედვა, რადგან ამ ფაქტს რუსეთი და თურქეთი მკაცრად ეწინააღმდეგებიან, შავი ზღვის აუზში მდებარე სახელმწიფოები ნატოს საყრდენს წარმოადგენენ. რუსეთის აგრესიის შესაკავებლად ევრო-ატლანტიკური სივრცის გაფართოება აუცილებლობას წარმოადგენს.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ შავი ზღვის რეგიონული აქტორებისთვის, რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანია თითოეული მათგანისთვის. ამასთან ერთად, შავი ზღვის უსაფრთხოება საერთაშორისო აქტორთა პოლიტიკურ დღის წესრიგში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, რადგან აღნიშნულ რეგიონში განვითარებული მოვლენები გავლენას ახდენს მსოფლიოზე. ნატოს მთავარ მიზანს კი წარმოადგენს რუსეთის „შეკავება“ და ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობის და სიმშვიდის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანი პროექტები, რომელსაც ალიანსი ახორციელებს რეგიონში სწორედ ამისკენ არის მიმართული. აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად გზა კავკასიის რეგიონზე გადის, რომლის სტაბილურობაც ნატოს ინტერესების სფეროში შედის.

საქართველოსა და უკრაინისთვის შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევები წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისათვის და ამასთან ერთად, შესაძლებლობას ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

რუსეთისა და თურქეთისთვის შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი განისაზღვრება მათი იდენტობით და რეგიონული ინტერესებით, ისინი არ ემხრობიან შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხის აქტუალიზებას საერთაშორისო ასპარეზზე, ორივე მათგანისთვის აღნიშნული რეგიონი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, აქვთ სურვილი და მისწრაფება რეგიონში დომინანტურ პოზიციებზე.

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ რუსეთისა და თურქეთისთვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება რეგიონის ჩაკეტვას მოითხოვს, ხოლო ნატო ამ საკითხთან დაკავშირებით კოლექტიური თავდაცვის მიდგომებს ემხრობა.

ნატოს სტრატეგია, რომელიც მოიცავს შავი ზღვის აუზის ქვეყნების მხარდაჭერას და როტაციული პრინციპით შავ ზღვაზე სამხედრო გემების განთავსებას ქმნის

მცირე ზონებს რუსეთის ფედერაციის გარშემო, რის შედეგადაც რუსეთის ფლოტი მნიშვნელოვნად იზღუდება.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას ასახოს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე თანამედროვე მოვლენები, რომელიც მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ე.აკობია - საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი (2006)
- ე.გვენეტაძე - ნატო (NATO) საერთაშორისო ურთიერთობებში. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
- ზ.აბაშიძე, ს. ცინცაძე & ჯ.სამუშია - საქართველო- ნატო:საწყისები, რეალობა, პერსპექტივები. თბილისი: ახალი თაობა- ახალი ინიციატივა (2007)
- კ. ბაგრატიონი - შავი ზღვის უსაფრთხოება - შანსი საქართველოსთვის (2017)
- ნ.ჩიტაძე - გეოპოლიტიკა (2011) . თბილისი
- რ. ვაშაკიძე- ნატოს გეოსტრატეგია 21_ე საუკუნეში: ღია კარის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ. (2009)
- რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში. იუჯინ კოგანი (2014)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებრგერდი - https://mfa.gov.ge/Home.aspx
- სიახლეები ოფიციალური არხების ვებგვერდებიდან, Euronews Georgia.
- https://www.nato.int/
- America's Black Sea strategy in 2021 and beyond: The case of Ukraine , Maryna Parfenchuk (2021)
- A NATO Strategy for Security in the Black Sea Region, STEVEN HORREL (2016)
- Cooperation, Competition, and Compartmentalization: Russian-Turkish Relations and Their Implications for the West - Black Sea Strategy Papers, Special Reports - Robert E. Hamilton, Anna Mikulska - April, 2021
- Press conference by NATO Secretary General Jens Stoltenberg following the meeting of the North Atlantic Council at the level of Defence Ministers. (2017)

- Regional cooperation in the Black Sea and the role of institutions. Aydin, M. (2005)
- Russia, NATO, and Black Sea Security, Stephen J. Flanagan, Anika Binnendijk, Irina A. Chindea, Katherine Costello, Geoffrey Kirkwood, Dara Massicot, Clint Reach , https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA357-1.html
- Russia's Permanent War against Georgia - Analysis, Black Sea Strategy Papers - Giorgi Shaishmelashvili - March, 2021
- Sanders, D. Maritime security in the Black Sea: can regional solutions work? European Security, (2009)
- Smith, H.L. (2017, October 10). Nato's new Black Sea force 'sends clear message to Russia', says Jens Stoltenberg
- The Black Sea Region in a Future U.S. Grand Strategy, Giselle Donnelly (2020)
- The United States and security in the Black Sea region, F. Stephen Larrabee (2009)
- Warsaw Summit Communiqué (2016)